



პოლისი ბიზნეს კლასის დაზღვევის პირობები

დაზღვევის ზოგადი პირობები

1. განმარტებები

- 1.1. **თქვენ** - პირი, რომელმაც გააფორმა დაზღვევის ხელშეკრულება "მზღვეველთან" (დამზღვევი);
- 1.2. **ჩვენ** - სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი" (მზღვეველი); ს/კ 204426674, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N67
- 1.3. **მოსარგებლე** - პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე;
- 1.4. **დაზღვევის ხელშეკრულება** - ხელშეკრულება **ჩვენსა** და **თქვენს** შორის, რომელიც შედგება წინამდებარე პირობების, შესაბამისი განაცხადისა და მის საფუძველზე გაცემული პოლის(ებ)ისაგან;
- 1.5. **სადაზღვევო პოლისი** - დაზღვევის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია **თქვენ** მიერ შემძენილი სადაზღვევო დაფარვის დეტალები (**პოლისი**);
- 1.6. **სადაზღვევო პერიოდი** - დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია **პოლისში**;
- 1.7. **სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა. შესაძლებელია **პოლისში** განისაზღვროს ცალკე ლიმიტი სხვადასხვა ტიპის ქონების და რისკებისათვის (**ქველიმიტი**);
- 1.8. **სადაზღვევო პრემია** - დაზღვევის ღირებულება (**პრემია**). მისი ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია **პოლისში**;
- 1.9. **გამომუშავებული პრემია** - **პრემიის** ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდის შეფარდებას საწყის სადაზღვევო პერიოდთან;
- 1.10. **ფრანშიზა** - თანხა, რომელსაც არ ავანაზღაურებთ **ჩვენ**. აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე;
- 1.11. **სადაზღვევო ტერიტორია** - **პოლისში** მითითებული კონკრეტული მისამართი, სადაც ვრცელდება დაზღვევა. დაზღვევა არ გავრცელდება იმ ქონების მიმართ, რომელსაც გადაადგილებენ ან რომელიც მდებარეობს სხვა ტერიტორიაზე (თუ სხვა რამ არის მითითებული **პოლისში**);
- 1.12. **სადაზღვევო შემთხვევა** - შემთხვევა, რომლის შედეგად დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი, დაზღვეული რისკის დადგომის შედეგად დაზღვეული ქონების დაზიანება/განადგურება.

2. გამოწვევის პირობები

- 2.1. **დაზღვევა არ ანაზღაურებს დაზიანებას ან ზარალს გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:**
 - 2.1.1. ნებისმიერი პირის თაღლითური ქმედებით;
 - 2.1.2. ნებისმიერი დაზღვევამდე არსებული მიზეზებით;
 - 2.1.3. **თქვენი/მოსარგებლის**, ასევე **თქვენთან/მოსარგებელსთან** მომუშავე პირების ან **თქვენი/მოსარგებლის** უფლებამოსილი პირების განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით დაზღვეული ქონების მიმართ;
 - 2.1.4. კონფისკაციით, რეკვიზიციით, დაპატიმრებით ან სახელმწიფო ორგანოების ბრძანებით დაზღვეული ქონების დაზიანებით/განადგურებით;
 - 2.1.5. ბირთვული აფეთქების ზემოქმედებით, რადიაციის ან რადიოაქტიური დაბინძურებით;
 - 2.1.6. საომარი მოქმედებით (მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა), შეიარაღებული ამბოხებით, მასობრივი არეულობით ან სამოქალაქო მღელვარებით, გაფიცვით, სამოქალაქო ომით, სამხედრო გადატრიალებით,

/დამზღვევი/

ან სახალხო აჯანყებით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპირებული ძალაუფლების ქმედებით, სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობით ან სხვა ნებისმიერი მოვლენით ან გარემოებით, რის შედეგადაც გამოცხადებულია სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობა, ან ყოველივე ამისაგან გამომდინარე მიზეზებით;

- 2.1.7. ნებისმიერი ტერორისტული აქტის ან მისი მცდელობის შედეგად.

3. საფრთხის გაზრდა

- 3.1. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედებისას, **თქვენ** ან **მოსარგებლე** ვალდებული ხართ, როგორც კი გახდება **თქვენთვის** ცნობილი შეგვატყობინოთ **ჩვენ** საფრთხის გაზრდის შესახებ (არსებითი გარემოებების შესახებ, რომელიც აღმოცენდა დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ);
- 3.2. თუ **თქვენ** განზრახ გამოიწვიეთ საფრთხის გაზრდა, **ჩვენ** შეგვიძლია მოვშალოთ დაზღვევის ხელშეკრულება წინასწარი შეტყობინების ვადის დაცვის გარეშე;
- 3.3. საფრთხის გაზრდის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, **ჩვენ** შეგვიძლია მოვითხოვოთ დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შეცვლა, **პრემიის** გაზრდა ან ხელშეკრულების შეწყვეტა;
- 3.4. თუ **თქვენ** უარს აცხადებთ დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე ან დამატებითი **პრემიის** გადახდაზე, დაზღვევის ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას საფრთხის გაზრდის მომენტიდან;

4. მხარეთა ვალდებულებები:

- 4.1. **თქვენ** ვალდებული ხართ გადაიხადოთ **პრემია პოლისში** მითითებული წესით და ოდენობით. **პრემიის** გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში **ჩვენ** ვთავისუფლებით დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;
- 4.2. **თქვენ** ვალდებული ხართ, განაცხადში გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, მოგვაწოდოთ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის;
- 4.3. **თქვენ** ვალდებული ხართ მიიღოთ ყველა გონივრული ზომა, რათა თავიდან აიცილოთ დაზღვეული ქონების დაზიანება დაზღვეული რისკის შედეგად;
- 4.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას **თქვენ/მოსარგებლე** ვალდებული ხართ:
 - 4.4.1. სადაზღვევო შემთხვევის აღმოჩენისთანავე (მაგრამ არაუგვიანეს შემთხვევიდან 24 საათისა), შეგვატყობინოთ **ჩვენ**, ამის შესახებ 24 საათიან ცხელ ხაზზე +995 32 2505111 (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოფიციალურ არასამუშაო დღეებში შეუძლებელი იყო გეკონოდათ ინფორმაცია შემთხვევის შესახებ);
 - 4.4.2. შეტყობინება უნდა იყოს დადასტურებული წერილობით 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
 - 4.4.3. მიიღოთ გონივრული და ხელმისაწვდომი ზომები სადაზღვევო შემთხვევის დროს ზარალის შეწყვეტის, შემცირების ან დაზღვეული ქონების გადარჩენის მიზნით;
 - 4.4.4. **ჩვენ** შეგვიძლია ზემოთ ჩამოთვლილის გარდა **თქვენგან** სხვა დოკუმენტების მოთხოვნა, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილი დოკუმენტების არქონის გამო **ჩვენთვის** შეუძლებელია სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის დადგენა და ზარალის მოცულობის განსაზღვრა;
- 4.5. წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, **ჩვენ** გვაქვს სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის უფლება;
- 4.6. **ჩვენ ვალდებული ვართ:**

- 4.6.1. აგინაზღაუროთ თქვენ ან **მოსარგებლეს** სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალი წინამდებარე პირობების შესაბამისად;
- 4.6.2. ამ პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, ზარალის გამომწვევი მიზეზის, გარემოებების და ზარალის ოდენობის დადგენის და ორივე მხარის მიერ შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაგინადოთ სადაზღვევო ანაზღაურება;
- 4.6.3. იმ შემთხვევაში, თუ უარს ვაცხადებთ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე, შეგატყობინოთ წერილობით ამის შესახებ 30 დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც გაირკვევა ზარალის გამომწვევი მიზეზები და გარემოებები;
- 4.7. **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ გადავავადოთ გადაწყვეტილების მიღება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ:
- 4.7.1. ტარდება დამოუკიდებელი ექსპერტიზა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, გარემოებების და ზარალის მოცულობის შესახებ. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადა იზრდება ექსპერტიზისათვის საჭირო დროის პერიოდით;
- 4.7.2. სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიმდინარეობს გამოძიება სადაზღვევო შემთხვევაზე **თქვენს/მოსარგებლის** მიმართ - გამოძიების დასრულებამდე.

5. სადაზღვევო ანაზღაურება

- 5.1. **ჩვენ** აგინაზღაურებთ ზარალს მას შემდეგ რაც დოკუმენტალურად დადასტურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტი;
- 5.2. ანაზღაურების ჯამური მოცულობა **ფრანშიზის** გამოკლებით არ გადააჭარბებს **პოლისში** მითითებულ სადაზღვევო თანხის (ანაზღაურების ლიმიტის) ოდენობას;
- 5.3. სადაზღვევო ანაზღაურებას გამოაკლდება დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული **პრემიის** გადაუხდელი ნაწილი;
- 5.4. თუ **თქვენ** ან **მოსარგებლეს** მესამე პირმა აგინაზღაურათ ზარალი, მაშინ **ჩვენ** ვიხდით მხოლოდ სხვაობას დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით ასანაზღაურებელ თანხასა და მესამე პირის მიერ ანაზღაურებულ თანხას შორის. **თქვენ** ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ შეგატყობინოთ **ჩვენ** აღნიშნული კომპენსაციის მიღების შესახებ;
- 5.5. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ვთანხმდებით ზარალის სიდიდის და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ, ორივე მხარეს უფლება გვაქვს მოვიწვიოთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა, რომელიც ინიშნება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე; ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს ექსპერტიზის მომწვევი მხარე;
- 5.6. ყოველი ზარალის ანაზღაურება მოხდება **პოლისში** მითითებული **ფრანშიზის** გამოკლებით.

6. სხვა ან ორმაგი დაზღვევა

- 6.1. **თქვენ** ან/და **მოსარგებლე** ვალდებული ხართ წერილობით შეგატყობინოთ ყველა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დადებულია სხვა სადაზღვევო კომპანიასთან/კომპანიებთან ანალოგიურ სადაზღვევო რისკებზე. ამასთან **თქვენ** ვალდებული ხართ მიუთითოთ სხვა სადაზღვევო კომპანიების სახელწოდება, დაზღვეული რისკები და ანაზღაურების ლიმიტების/სადაზღვევო თანხის სიდიდე;
- 6.2. თუ სადაზღვევო შემთხვევისას დაზღვეულ ქონებაზე (პასუხისმგებლობაზე) მოქმედებს სხვა დაზღვევის ხელშეკრულებაც ანალოგიურ რისკებზე, მაშინ **ჩვენ** ავანაზღაურებთ ზარალის წილს, რომელიც შეესაბამება **ჩვენს პოლისში** მითითებულ სადაზღვევო თანხის/ ანაზღაურების

ლიმიტის შეფარდებას მთლიან სადაზღვევო თანხასთან/ანაზღაურების ლიმიტთან.

7. დაზღვევის ხელშეკრულების დასრულება და ბათილობა

- 7.1. **პოლისის** მოქმედება ავტომატურად დასრულდება ვადაზე ადრე შემთხვევებში თუ მოხდა სადაზღვევო თანხის (ანაზღაურების ლიმიტის) სრული ანაზღაურება;
- 7.2. დაზღვევის ხელშეკრულება ავტომატურად დასრულდება ვადაზე ადრე შემდეგ შემთხვევებში (და ზარალი არ ანაზღაურდება):
- 7.2.1. თუ **თქვენ** მიერ განზრახ არასწორად არის მოწოდებული ინფორმაცია არსებითი გარემოებების შესახებ ან ეს ინფორმაცია გაყალბებულია;
- 7.2.2. თუ **თქვენს** მიერ დამალულია ინფორმაცია არსებითი გარემოებების შესახებ;
- 7.2.3. თუ **თქვენ** განზრახ გამოიწვიეთ საფრთხის გაზრდა ან დროულად არ შეგატყობინებთ საფრთხის გაზრდის შესახებ;
- 7.3. თუ **თქვენ** გასურთ გააუქმოთ დაზღვევის ხელშეკრულება, უნდა გამოგვიგზავნოთ წერილობით შეტყობინება გაუქმების თაობაზე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში დასაბრუნებელი **პრემია** დაანგარიშდება ჯამური **პრემიიდან** გამომჟღავნებული ნაწილის ორმაგი ოდენობის გამოკლებით;
- 7.4. თუ სადაზღვევო პერიოდის მანძილზე **თქვენ** აგინაზღაურდით ზარალი, გაუქმებისას **თქვენ** ვალდებული ხართ გადაიხადოთ **პრემია** სრულად. ამავე დროს უკვე გადახდილი **პრემია** დაბრუნებას არ ექვემდებარება;
- 7.5. **ჩვენ** უფლება გვაქვს ცალმხრივად გააუქმოთ დაზღვევის ხელშეკრულება, რის შესახებაც წერილობით შეგატყობინებთ გაუქმებამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში დასაბრუნებელი **პრემია** დაანგარიშდება ჯამური **პრემიიდან** გამომჟღავნებული ნაწილის გამოკლებით;
8. **დავების გადაწყვეტა**
- 8.1. დაზღვევის ხელშეკრულების გარშემო წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაზღვევის სპეციფიური პირობები: იურიდიული პირების ქონების დაზღვევა

1. ქონების დაზღვევა

- 1.1. **თქვენ შეგიძლიათ დააზღვიოთ შემდეგი ქონება:**
 - 1.1.1. შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტები – საინჟინრო ელემენტები, რომელიც შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;
 - 1.1.2. შენობა-ნაგებობების შიდა მოპირკეთება (რემონტი) – კედლების, იატაკის და ჭერის ყველა სახის საღეს-სამდებრო სამუშაოები, გამოყენებული მასალების და დეკორატიული ელემენტების ჩათვლით; ასევე მათი მოპირკეთება ნებისმიერი სახის მასალით; კარ-ფანჯარა, შემინულობა და ტიხრები;
 - 1.1.3. საკომუნიკაციო მოწყობილობები: წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგაყვანილობა და გაზგაყვანილობა;
 - 1.1.4. მანქანა-დანადგარები და საწარმოო ხაზები;
 - 1.1.5. ინვენტარი, ავეჯი და ტექნიკა, ინტერიერის საგნები,
 - 1.1.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.
- 1.2. **დაზღვევას არ ექვემდებარება** (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კონკრეტულად არის მითითებული **პოლისში**):
 - 1.2.1. ბანკომატები, თვითმომსახურების ტერმინალები და სწრაფი გადახდის აპარატები;
 - 1.2.2. ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი, ძვირფასი ქვები, ბეწვეული და მისი ნაწარმი, განსაკუთრებული ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ნივთები, ხელოვნების ნიმუშები და სხვა სახის კოლექციები;
 - 1.2.3. ფასიანი ქაღალდები, ფული, ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტები, ხელნაწერები, ნახაზები, ნიმუშები;
 - 1.2.4. ელექტრონული ინფორმაცია, პროგრამები, და სხვა არამატერიალური აქტივები;
 - 1.2.5. ყველა სახის მიწისზედა და მიწისქვეშა გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები, რომელიც განკუთვნილია ელექტრო ენერგიის გადასაცემად და ყველა სხვა სახის ინფორმაციული კომუნიკაციისათვის;
 - 1.2.6. ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, ფეტქებადი, ტოქსიკური და რადიოაქტიური ნივთიერებები;
 - 1.2.7. მღაროები, კარიერები;
 - 1.2.8. ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, ნარგავები, ნათესები და მათი მოსავალი;
 - 1.2.9. სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მოძრავი ტექნიკა: ავტომობილები და მისამბელები, ტრაქტორები, ბულდოზერები, და სხვა სპეციალიზირებული ტექნიკა.

2. დაზღვეული რისკები

- 2.1. ანაზღაურდება დაზღვეული ქონების დაზიანება/დანაკარგი ან განადგურების შედეგად მიყენებული პირდაპირი ზიანი ქვემოთ მითითებული რისკების შედეგად. **თქვენ** შეგიძლიათ შეიძინოთ სადაზღვევო დაფარვა ერთი ან რამოდენიმე რისკის კატეგორიებისაგან.
- 2.2. **ჯგუფი A**
 - 2.2.1. **ხანძარი** - ცეცხლი, რომელიც თავისით ვრცელდება ცეცხლის დანთებისათვის განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ;
 - 2.2.2. **მეხის დაცემა** – ატმოსფერული განმუხტვის შედეგად ქონების მიმართ გამოწვეული პირდაპირი ზიანი;
 - 2.2.3. **აფეთქება** – აფეთქება გამოწვეული აირის ან ორთქლის წნევის ძალის უეცარი მატებით; რეზერვუარების აფეთქება იფარება იმ შემთხვევაში როდესაც ხდება რეზერვუარის კედლების რღვევა და წნევის გათანაბრება გარედან და შიგნიდან;

- 2.2.4. **საფრენი აპარატის ჩამოვარდნა** – პილოტირებული საჰაერო ან კოსმოსური საფრენი აპარატის, ასევე მათი ნაწილების ვარდნა.
 - 2.3. **ჯგუფი B**
 - 2.3.1. **სტიქიური მოვლენები** - სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ზეავი, გრუნტის აწევა ან დაწევა, თოვლის სიმძიმით გამოწვეული ფიზიკური ზიანი, ჰაერის მასების მოძრაობა 20 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი პროცესებით ატმოსფეროში;
 - 2.4. **ჯგუფი C**
 - 2.4.1. **ქურდობა, ქურდობის მცდელობა** - გულისხმობს დაზღვეულ ტერიტორიაზე მართლსაწინააღმდეგო შეღწევით დაზღვეული ქონების ფარულ დაუფლებას ან მის მცდელობას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;
 - 2.4.2. **მარცვა, ყაჩაღობა** – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები;
 - 2.5. **ჯგუფი D**
 - 2.5.1. **მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება**, რომელიც მიმართულია დაზღვეული ქონების განზრახ დაზიანების ან განადგურებისაკენ;
 - 2.5.2. **სატრანსპორტო საშუალებათა შეჯახება**;
 - 2.5.3. **დატბორვა** – გამოწვეული წყალმომარაგების, გათბობის და კანალიზაციის სისტემის ავარიით, წყლის გაჟონვით ავტომატური ხანძარჩამქრობი მოწყობილობის მიმსხურებელი სისტემიდან, მესამე პირთა დაუდევარი ქმედებით;
 - 2.5.4. **კვამლით დაზიანება** - დაზღვეული ქონების ტერიტორიაზე მდებარე ცეცხლის გამომამუშავებელი ან გამოყენებული, გამათბობელი დანადგარებიდან უეცრად წარმოქმნილი კვამლის შედეგად დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება.
- ## 3. გამონაკლისები
- 3.1. **დაზღვევა არ ანაზღაურებს დაზიანებას ან ზარალს გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:**
 - 3.1.1. ნივთიერებების შეღწევით ან გამოჟონვით, დაბინძურებით;
 - 3.1.2. დაზღვეული ქონების თვითაალებით, დუღილით, ლპობით, წონაში ცვლილებებით, დაობებით, ფერმენტაციით ან სხვა ბუნებრივი პროცესებით, რომლებსაც განიცდის დაზღვეული ქონება;
 - 3.1.3. მღრღნელების ან და მავნებლების მიერ;
 - 3.1.4. მშენებლობის, ნაგებობების ან მათი ნაწილის, ასევე მათში არსებული ქონების ნგრევა ან დაზიანება, თუ ეს გამოწვეულია მშენებლობის, დამზადების ან მასალის დეფექტით;
 - 3.1.5. ცვეთით, ამორტიზაციით ან გაუფასურებით;
 - 3.1.6. ნიადაგის დაწვეით, ძვრით ან სხვა ნებისმიერი გრუნტის მოძრაობით, თუ ისინი გამოწვეულია ასაფეთქებელი სამუშაოების შესრულების შედეგად, გრუნტის ამოღებით გამოქვაბულებიდან ან კარიერებიდან, მიწის სამუშაოების ჩატარებით, სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად ჩატარებული სამუშაოებით ან და სხვა ნებისმიერი არაბუნებრივი მოვლენების შედეგად;
 - 3.1.7. მიწისძვრით, თუ დაზღვეული ქონების დაზიანება/განადგურება გამოიწვია მიწისძვრამ, რომლის სიძლიერეც ნაკლებია 4.0 მაგნიტუდაზე რიხტერის სკალით;
 - 3.1.8. დაზღვეულ ობიექტში ან ნაგებობაში თოვლის, სეტყვის ან წყლის შეღწევით ღია ფანჯრებიდან ან კარებიდან. ასევე სხვა ხერხელებიდან, რომელიც გაკეთებულია წინასწარგანზრახულად, ან წარმოქმნილია სიძველით ან სამშენებლო დეფექტით;
 - 3.1.9. შიდა წვაზე მომუშავე მანქანა-დანადგარების მექანიზმების აფეთქების შედეგად, რომელიც წარმოიქმნება წვის კამერებში;

- 3.1.10. ელექტრო მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლით რომელიც გამოწვეულია მეხის დაცემით (მაგრამ დაზღვეულია მეხის დაცემის შედეგად გამოწვეული ხანძარი);
- 3.1.11. დაზღვეული ქონების ცეცხლით დამუშავებისას, სითბოთი ან სხვა თერმული ზემოქმედებით, რომელსაც ითვალისწინებს ტექნოლოგიური პროცესი;
- 3.1.12. ქონების თვითაალების შედეგად, რომელიც გამომდინარეობს მისი ბუნებრივი თვისებებიდან;
- 3.1.13. დაზღვეული ქონების ან რაიმე ნივთის ან ნაწილის გაუჩინარებით;
- 3.1.14. დანესტიანებით;
- 3.1.15. ზარალს, წარმოქმნილს კვამლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად;
- 3.1.16. ზარალს, გამოწვეულს წყალმომარაგების/გათბობის სისტემის ზედმეტად დატვირთვით;
- 3.1.17. დატბორვით გამოწვეულ ზარალს, რომელიც მიყენებულ იქნა ექსპლუატაციაში ჯერ არ გაშვებული შენობებისთვის და მათ შიგნით მდებარე ქონებისათვის;

4. საფრთხის გაზრდა

- 4.1. არსებით გარემოებად განიხილება, მაგალითად, დაზღვეული ქონების გადაცემა იჯარით ან გირაოთი, ქონებაზე უფლებების გადასვლა სხვა პირზე, დაზღვეული ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება, განადგურება ან რეკონსტრუქცია, უმთავრესად დატოვება, სადაზღვევო განაცხადში მითითებული ინფორმაციის შეცვლა;
- 4.2. დამოუკიდებლად იმისა, მოხდა თუ არა საფრთხის გაზრდა, ჩვენ უფლება გვაქვს დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შევამოწმოთ დაზღვეული ქონების მდგომარეობა, ასევე თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობა.

5. სადაზღვევო თანხა

- 5.1. სადაზღვევო თანხა ყოველი დასაზღვევი ქონებისათვის არ უნდა აღემატებოდეს მის რეალურ ღირებულებას. თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში აღმოჩნდა, რომ სადაზღვევო თანხა აღემატება რეალურ ღირებულებას, მაშინ ორივე მხარეს გვაქვს უფლება შევამციროთ სადაზღვევო თანხა ქონების რეალურ ღირებულებამდე;
- 5.2. **რეალური ღირებულება განისაზღვრება:**
 - 5.2.1. შენობა-ნაგებობებისათვის, შიდა მოპირკეთებისა და საკომუნიკაციო მოწყობილობებისთვის: ხარჯები, რომელიც საჭიროა შენობის აშენებისათვის, შიდა მოპირკეთების და საკომუნიკაციო მოწყობილობების აღდგენისათვის, იგივე ადგილას, ანალოგიური ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ცვეთის გამოკლებით;
 - 5.2.2. მანქანა-დანადგარების და საწარმოო ხაზებისთვის, ინვენტარის, ავეჯის და ტექნიკის, ინტერიერის საგნებისათვის: თანხა, რომელიც საჭიროა ანალოგიური პარამეტრების მქონე ქონების შესაძენად. იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია რეალური ღირებულების განსაზღვრა ასანაზღაურებელი თანხის კალკულაციისას დავეყრდნობით ურთიერთშეთანხმებული ექსპერტის კალკულაციას;
 - 5.2.3. სასაქონლო-მატერიალური მარაგებისათვის, რომელიც იწარმოება თქვენს მიერ (როგორც დაუმთავრებელი ასევე დამთავრებული) – წარმოების დანახარჯები, რომელიც საჭიროა ხელმოწერა პროდუქციის საწარმოებლად, მაგრამ არაუმეტეს მისი თვითღირებულებისა;
 - 5.2.4. სასაქონლო-მატერიალური მარაგებისათვის, რომლითაც ვაჭრობთ თქვენ, ასევე ნედლეული რომელიც შეძენილია თქვენ მიერ – მათი შესაძენი ფასის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს მიმდინარე საბაზრო ფასებისა;

/დაზღვევი/

- 5.3. შეფარდება სადაზღვევო თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის განისაზღვრება ყოველი ცალკეული ობიექტისათვის/ ობიექტთა ჯგუფისათვის, რომლებიც მითითებულია პოლისში;
- 5.4. სადაზღვევო ანაზღაურების სახით (დაზღვეული ქონების გადარჩენის ხარჯების ჩათვლით) ჩვენ არ გადავიხდით უფრო მეტს ვიდრე არის სადაზღვევო თანხა ან ქონების რეალური ღირებულება;
- 5.5. სადაზღვევო თანხა შემცირდება ჩვენს მიერ ყველა ანაზღაურებული ზარალის და გამოყენებული ფრანშიზის ოდენობით. სადაზღვევო თანხა შემცირდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან;
- 5.6. დაზიანებული ქონების აღდგენის ან შეკეთების შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ დამატებითი პრემიის გადახდის სანაცვლოდ აღადგინოთ საწყისი სადაზღვევო თანხა.

6. მხარეთა ვალდებულებები:

- 6.1. სადაზღვევო შემთხვევის აღმოჩენისთანავე, შეატყობინოთ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ:
 - მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში - შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;
 - აფეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემის შემთხვევაში - შესაბამის სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოებს;
 - წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელექტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის შემთხვევაში - შესაბამის პასუხისმგებელ უწყებას;
- 6.2. შეკრიბოთ ჩვენი, სამართალდამცავი ორგანოების, ან სხვა კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების მისვლამდე ხელმისაწვდომი წინასწარი ინფორმაცია შემთხვევის მიზეზისა და გარემოებების შესახებ და გადმოგცეთ ჩვენ გარემოებების შემდგომი გამოძიებისათვის;
- 6.3. შეინარჩუნოთ დაზიანებული ქონება ჩვენი წარმომადგენლების მისვლამდე იმ სახით, როგორშიც ის აღმოჩნდა სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ; ამასთან შეგიძლიათ შეცვალოთ დაზიანებული ქონების გარეგნული სახე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება მიმართულია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან ზარალის შემცირებისკენ და შეთანხმებულია ჩვენთან;
- 6.4. არაუგვიანეს 1 თვისა სადაზღვევო შემთხვევის დღიდან, მოგვაწოდოთ წერილობითი განაცხადი, რომელიც შეიცავს სადაზღვევო შემთხვევის დეტალების შესახებ თქვენთვის ცნობილ ყველა გარემოებას და ქონების განადგურების, დაზიანების ან სხვა დანაკარგის შემთხვევაში შესაბამისი ქონების აღწერილობა და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სადაზღვევო შემთხვევის დღის მდგომარეობით;
- 6.5. ზარალის შესახებ განაცხადთან ერთად წარმოგიდგინოთ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ან კერძო უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო შემთხვევის ფაქტი და მიზეზები:
 - აფეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემისას - სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოების დასკვნა;
 - წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელექტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის დროს - შესაბამისი კომპეტენტური უწყების დასკვნა;
 - სტიქიური უბედურებისას - სახელმწიფო მეტეოროლოგიური ორგანოების ცნობა;
 - ზარალის გამოწვევი გარემოებების გამოძიებაში სამართალდამცავი ორგანოების მონაწილეობისას -

ცნობა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებიდან სამართლებრივი ძიების მიმდინარეობის შესახებ;

- 6.6. მოგვეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ დავათვალიეროთ ან გამოვიკვლიოთ დაზიანებული დაზღვეული ქონება, გამოვიძიოთ მიზეზები და დავადგინოთ ზარალის სიდიდე;
- 6.7. წარმოგვიდგინოთ საკუთრების უფლების ან სხვა ქონებრივი ინტერესის დამადასტურებელი საბუთი განადგურებულ, დაკარგულ ან დაზიანებულ ქონებაზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში;

7. უსაფრთხოების მოთხოვნები

- 7.1. **თქვენ** ვალდებული ხართ გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოთ ის შენობა, რომელშიც განლაგებულია დაზღვეული ქონება (შენობა არ უნდა იყოს ავარიულ მდგომარეობაში, სახურავი არ უნდა იყოს დაზიანებული და არ ხდებოდეს წყლის გაჟონვა);
- 7.2. **თქვენ** ვალდებული ხართ შეინარჩუნოთ დაზღვეული ქონების უსაფრთხოება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენობა, რომელშიც მდებარეობს დაზღვეული ქონება რჩება უმეტესადაა უსაფრთხო, შენობის კარები, ფანჯრები ან სხვა ტიპის შესასვლელები/გამოსასვლელები, სათავსოები უნდა იყოს სათანადოდ დახურული;
- 7.3. მარაგების დაზღვევისას, **თქვენ** ვალდებული ხართ განალაგოთ დაზღვეული მარაგები მიწის დონიდან არაუმცირეს 12 სანტიმეტრი სიმაღლეზე და კედლიდან არაუმცირეს 30 სანტიმეტრ მანძილზე.

8. სადაზღვევო ანაზღაურება

- 8.1. **სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება:**
- 8.1.1. **ქონების სრული განადგურებისას** – მისი რეალური ღირებულების ფარგლებში (არაუმეტეს სადაზღვევო თანხის), ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ნარჩენი ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დარჩენილი ქონების ღირებულება);
- 8.1.2. **ქონების ნაწილობრივი დაზიანებისას** – მისი უშუალოდ შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად საჭირო დანახარჯების მიხედვით;
- 8.2. **თქვენ** არ შეგიძლიათ უარი განაცხადოთ ნარჩენ ქონებაზე, რომელიც დარჩა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, მიუხედავად მისი დაზიანების ხარისხისა. ქონების ნარჩენი ღირებულება გამოიქვითება ასანაზღაურებელი თანხიდან;
- 8.3. ქონების სრული განადგურებისას **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ ავინაზღაუროთ სადაზღვევო თანხა სრულად (შესაბამისი **ფრანშიზის** გამოკლებით), ქონების ნარჩენი ღირებულების გამოკლების გარეშე. ამასთან, **ჩვენზე** გადმოდის საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც მიიჩნევა მთლიანად განადგურებულად;
- 8.4. ქონება შეიძლება ჩაითვალოს სრულად განადგურებულად, თუ დანახარჯები მისი რემონტისათვის და აღდგენისათვის აღემატება მისი რეალური ღირებულების 70%-ს;
- 8.5. **დანახარჯები აღდგენაზე შეიცავს:**
- 8.5.1. დანახარჯებს რემონტის მასალებზე;
- 8.5.2. დანახარჯებს სარემონტო სამუშაოს ანაზღაურებაზე;
- 8.5.3. დანახარჯებს, რომელიც საჭიროა მასალების რემონტის ადგილამდე მისატანად;
- 8.5.4. სხვა დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია დაზღვეული ქონების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად;
- 8.5.5. ანაზღაურებას ექვემდებარება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ქონების დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებული ნაგვის გატანის ხარჯები, მაგრამ არა უმეტეს სადაზღვევო თანხის 10%-ის;
- 8.5.6. ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად სახანძრო და სამაშველო სამსახურების მიერ დაზღვეულ ობიექტში

/დამზღვევი/

აუცილებელი შედეგის შედეგად მიყენებული ზიანი 1'000 ლარის ლიმიტის ფარგლებში.

- 8.6. **სადაზღვევო ანაზღაურებისას არ იქნება ანაზღაურებული:**
- 8.6.1. დანახარჯები, რომელიც მიმართულია დაზღვეული ქონების ცვლილებისაკენ ან გაუმჯობესებისაკენ;
- 8.6.2. ნებისმიერი დანახარჯები რომელიც არ არის პირდაპირ მიმართული დაზიანებული ქონების აღსადგენად;
- 8.7. დანახარჯები აღდგენაზე გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევისას არსებული საბაზრო ფასებიდან გამომდინარე;
- 8.8. აღდგენითი სამუშაოებისას, დანახარჯებიდან გამოიქვითება რემონტის პროცესში გამოსაცვლელი დეტალების და ნაწილების ცვლა.
- 8.9. **თქვენ** ასევე ავინაზღაურებთ დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეული ქონების გადარჩენასთან და წინასწარ შეთანხმებულია **ჩვენთან**. **ჩვენ** ასევე ავინაზღაურებთ დაზღვეული ქონების გადარჩენისათვის გაწეულ ხარჯებს თუ გარემოებების გამო შეუძლებელია **ჩვენთან** შეთანხმება და ხარჯები გონივრული ოდენობისაა გადასარჩენი ქონების ღირებულებასთან მიმართებაში;
- 8.10. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროისათვის ქონების რეალური ღირებულება აღმოჩნდა სადაზღვევო თანხაზე მეტი, მაშინ ზარალის ანაზღაურება მოხდება დაზღვეული ქონების სადაზღვევო თანხისა და რეალური ღირებულების პროპორციულად, იმგვარად რომ ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდეს იმ პროცენტს რეალური ზარალისა, რამდენიც არის სადაზღვევო თანხა დაზღვეული ქონების რეალურ ღირებულებაში;

9. რეგრესი

- 9.1. სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგ, **ჩვენზე** გადმოდის მოთხოვნის უფლება გადახდილი თანხის ფარგლებში, რომელიც **თქვენ** ან **მოსარგებლეს** გაქვთ იმ პირის მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია ზარალზე;
- 9.2. **თქვენ** ან **მოსარგებლე** ვალდებული ხართ გადმოგვეცეთ ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ გადმოსული რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის;
- 9.3. თუ **თქვენ** ან **მოსარგებლემ** უარი განაცხადეთ **ჩვენთვის** რეგრესული მოთხოვნის უფლების გადმოცემაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, იმ ზარალზე რომელიც ავანაზღაურეთ **ჩვენ** ან ასეთი უფლების შესრულება შეუძლებელი გახდა **თქვენი** ან **მოსარგებლის** ქმედებით, მაშინ **ჩვენ** ვთავისუფლებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან და უფლება გვეძლევა მოვითხოვოთ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება.

10. დაზღვევის ხელშეკრულების დასრულება და ბათილობა

- 10.1. თუ დაზღვეულმა ქონებამ შეწყვიტა თავისი არსებობა;
- 10.2. დაზღვევის ხელშეკრულება უნდა დაიდოს მხოლოდ იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც კანონის, სხვა სამართლებრივი აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნია დაზღვეული ქონების შენარჩუნების ინტერესი (მაგალითად: მესაკუთრე, დამქირავებელი და ა.შ.). დაზღვეულ ქონებაზე **თქვენი** სადაზღვევო ინტერესის არარსებობისას, დადებული დაზღვევის ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად.

დაზღვევის სპეციფიური პირობები: საქმიანობის შეფერხებისგან დაზღვევა

1. განმარტებები

- 1.1. **ანაზღაურების ლიმიტი** - პოლისში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი ანაზღაურების პერიოდის მანძილზე;
- 1.2. **ანაზღაურების პერიოდი** - პოლისში მითითებული დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოხდება ზარალის ანაზღაურება წინამდებარე დამატების მიხედვით, შესაბამისი ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში;
- 1.3. **მოცდის პერიოდი** (ფრანშიზა) - დროის პერიოდი ზარალის დადგომის მომენტიდან, რომლის განმავლობაშიც არ მოხდება ზარალის ანაზღაურება. მოცდის პერიოდის შესაბამისი ზარალის ოდენობა არ დაეკვემდებარება ანაზღაურებისას.

2. საერთო დებულებანი

- 2.1. წინამდებარე პირობების მიხედვით დადებული დაზღვევის ხელშეკრულების თანხმად, **თქვენ** ავანაზღაურდებით ზარალი რომელიც წარმოიშობა საქმიანობის შეფერხებისას, რაც გამოწვეულია დაფარული რისკების შედეგად დაზღვეული ქონების განადგურებით, დაზიანებით ან დანაკარგით.
ჩვენ ავანაზღაურებთ საქმიანობის შეფერხების შედეგად მიყენებულ ზიანს იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა დაზიანებული დაზღვეული ქონების აღსადგენად ან ჩასანაცვლებლად, მაგრამ არაუმეტეს **პოლისში** მითითებული **ანაზღაურების პერიოდისა და ანაზღაურების ლიმიტისა**;

3. საქმიანობის შეფერხება

- 3.1. წინამდებარე დამატებით **თქვენ** დაზღვეული ხართ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში **თქვენს** მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს **პოლისში** მითითებულ მისამართზე, უძრავი ან/და მოძრავი ქონების პირდაპირი ფიზიკური განადგურების, დაზიანების ან დანაკარგის გამო (რომელიც გამოწვეულია იურიდიული პირების ქონების დაზღვევით ძირითადი **პოლისით** დაფარული რისკებისგან გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით) საქმიანობის იძულებითი შეწყვეტის შედეგად მიყენებული პირდაპირი ზარალისაგან;
- 3.2. ამგვარი განადგურების, დაზიანების, დანაკარგის შემთხვევაში **ჩვენ** ავანაზღაურებთ საქმიანობის იძულებითი შეწყვეტის შედეგად შემცირებული ბრუნვის მოცულობას, ცვლადი ხარჯების გამოკლებით (რაც უდრის ფიქსირებული ხარჯების და მოგების ჯამს);
- 3.3. ანაზღაურებას დაეკვემდებარება იმ პერიოდის განმავლობაში შეჩერებული საქმიანობა, რომელიც საჭიროა ჯეროვანი გულმოდგინებით და სისწრაფით დაზიანებული ან განადგურებული ქონების აღსადგენად, შესაკეთებლად ან თავიდან ასაშენებლად. ეს პერიოდი იწყება განადგურების, დაზიანების, ან დანაკარგის შემთხვევის შემდგომ **მოცდის პერიოდის** გასვლის დღიდან და შემოიფარგლება **პოლისში** მითითებული **ანაზღაურების პერიოდით**.

4. იჯარის თანხის (რენტის) დაკარგვა

- 4.1. იმ შემთხვევაში, როდესაც დაზღვეული შენობა გაიცემა იჯარით/ქვეიჯარით და **პოლისით** დაფარულია იჯარის თანხის (რენტის) დაკარგვა და დაზღვეული შენობის რომელიმე ნაწილი დაინგრევა ან დაზიანდება ქონების დაზღვევის **პოლისით** დაფარული რისკების შედეგად და ამის გამო გახდება უვარგისი იჯარით გაცემის/ გაქირავებისათვის, **ჩვენ** ავანაზღაურებთ იჯარის თანხის (რენტის) დანაკარგს იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა ამ შენობის

აღსადგენად, მაგრამ არაუმეტეს **პოლისში** მითითებული **ანაზღაურების პერიოდისა და ანაზღაურების ლიმიტისა**;

- 4.2. ასანაზღაურებელი იჯარის თანხის (რენტის) კალკულაციისას ზახისად ჩაითვლება დაზღვეული შენობებიდან, რომლებიც გაიცემა იჯარით/ქვეიჯარით, მისაღები საიჯარო გადასახადი (რენტა), რომელიც არ იქნა რეალურად მიღებული, სანამ შენობა იყო უვარგისი გამოყენებისათვის.

5. პირობები

- 5.1. **პირდაპირი ზიანი**. იმისათვის, რომ ზარალი დაეკვემდებაროს ანაზღაურებას ამ დამატებით, პირველ რიგში იურიდიული პირების ქონების დაზღვევის პირობებით ასევე ანაზღაურებას უნდა ექვემდებარებოდეს უშუალოდ ქონების მიმართ მიყენებული ზარალი გამოწვეული მისი დაზიანებით, განადგურებით, ან დანაკარგით (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ზარალის ოდენობა არ აღემატება **ფრანშიზას**);
- 5.2. **ხარჯები ზარალის შესამცირებლად**. ამ დამატებით ასევე იფარება ის ხარჯები, რომლებიც გაწეული იქნება ზარალის შესამცირებლად, მაგრამ ეს ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს შემცირებული ზარალის ოდენობას;
- 5.3. **ჯეროვანი გულმოდგინება**. **თქვენ** უნდა იმოქმედოთ ჯეროვანი გულმოდგინებით და სისწრაფით, რათა:
 - შეძლებისდაგვარად შეამციროთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი;
 - რაც შეიძლება სწრაფად განახლოთ შეწყვეტილი საქმიანობა;
 - **თქვენ** მიერ მიღებული უნდა იყოს ყველა ზომა, რათა დაუყოვნებლივ აღდგეს დაზიანებული/განადგურებული ფართობი. თუ ეს პირობა არ სრულდება ან სრულდება არასაკმარისი გულმოდგინებით (მაგ. ზედმეტი დროის დახარჯვა), მაშინ **ჩვენ** გვაქვს უფლება უარი განვაცხადოთ ან შევამციროთ სადაზღვევო ანაზღაურება. ზარალის ოდენობის გამოთვლისას გათვალისწინებულ იქნება საქმიანობის შეწყვეტის აღსადგენად რეალურად აუცილებელი დრო, მაგრამ ეს დრო არ უნდა აღემატებოდეს იმ დროს, რომელიც საჭიროა ამ ქონების ჯეროვანი გულმოდგინებით და სისწრაფით შესაკეთებლად, აღსადგენად ან შესაცვლელად.

6. გამონაკლისები. დაზღვევა არ ფარავს:

- 6.1. ზარალს იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირების ქონების დაზღვევის პირობებით დაზღვეული ქონებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი ანაზღაურებას არ ექვემდებარება (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ზარალის ოდენობა მოქცეულია **ფრანშიზის** ფარგლებში);
- 6.2. ადგილობრივი ან სახელმწიფო ოფიციალური ორგანოების განკარგულებით წარმოქმნილ ზარალს, რომელიც გამოიწვია შენობის რეკონსტრუქციამ, შეკეთებამ ან დანგრევამ;
- 6.3. ზარალს გამოწვეულს ნებისმიერი ლიცენზიის, კონტრაქტის ან შეკვეთის შეჩერებით, გაჩერებით ან შეწყვეტით და ზარალს გამოწვეულს ქონების გადაკეთებით, თავიდან აშენებით ან მისი გადაადგილებით; ზარალს, გამოწვეულს გაფიცვის ან სხვა პიროვნებების მიხეზით, ზარალის აღმოფხვრის სამუშაოების შეფერხებით.

დაზღვევის სპეციფიური პირობები: მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლისგან დაზღვევა

1. მანქანა-დანადგარების დაზღვევა

- 1.1. **თქვენ შეგიძლიათ დააზღვიოთ შემდეგი მანქანა-დანადგარები:**
 - 1.1.1. ყველა ტიპის დანადგარები, აპარატები, ელექტრო მოწყობილობები, ტექნოლოგიური და საწარმოო ხაზები;
 - 1.1.2. მონაცემთა ელექტრონული დამუშავების სისტემები;
 - 1.1.3. სამედიცინო მოწყობილობები;
 - 1.1.4. სატელეკომუნიკაციო სისტემები;
 - 1.1.5. სხვა მოწყობილობები და ტექნიკა;
- 1.2. **დაზღვევას არ ექვემდებარება** (და შესაბამისად არ ანაზღაურდება ზარალი დამდაგარი ქვემოთ მითითებული ერთეულებისათვის):
 - 1.2.1. მანქანა-დანადგარის კომპონენტები ან მისი ტექნიკური დეტალები რომელიც ექვემდებარება ცვეთას სამუშაო პროცესში, როგორიცაა: საბურავები, მუხლუხები, ჯაგრისები, ფილტრები, ყალიბები, თოკები, ჯაჭვები, ღვედები, ქაშრები, შლანგები;
 - 1.2.2. სახეც-საპოხი, გამაგრებელი მასალები, საწვავი;
 - 1.2.3. ყველა სახის ცვლადი დეტალები: მინა და მისი დეტალები, კერამიკის დეტალები, დამცავი ეკრანები;
 - 1.2.4. შემდეგი ტიპის ხელსაწყოები: ბურღი, ჩაქუჩი, დანები, ხერხის პირები, საჭრელი ხელსაწყოები, რელიეფური საბეჭდი ფორმები;
 - 1.2.5. ცხაურები, შემაერთებელი სადენები, ელასტიური მილები, შესაფუთი მასალები;
 - 1.2.6. რეზინის, ტექსტილის და პლასტიკისგან დამზადებული დეტალები, საიზოლაციო მასალები, ბატარეები;
 - 1.2.7. ელექტრონული ინფორმაცია, პროგრამები, და სხვა არამატერიალური აქტივები, ინფორმაციის გადამტანი მოწყობილობები (კომპაქტ დისკები, ფლეშ მეხსიერებები);
 - 1.2.8. მობილური ტელეფონები, რადიოები;
 - 1.2.9. ყველა სახის მიწისზედა და მიწისქვეშა გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები, რომელიც განკუთვნილია ელექტრო ენერგიის გადასაცემად და ყველა სხვა სახის ინფორმაციული კომუნიკაციისათვის;
 - 1.2.10. სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მოძრავი ტექნიკა: ავტომობილები და მისაბმელები, ტრაქტორები, მცურავი და საფრენი საშუალებები;
 - 1.2.11. ყველა სახის ლაზერული ეპილაციის აპარატები და მისი კომპონენტები.

2. დაზღვეული რისკები

- 2.1. ანაზღაურდება დაზღვეული მანქანა-დანადგარების უეცარი და მოულოდნელი მწყობრიდან გამოსვლის შედეგად უშუალოდ ამ მანქანა-დანადგარების პირდაპირი ზიანი, ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში:
 - 2.1.1. შეცდომა ან გაუფრთხილებლობა მანქანა-დანადგარის მოხმარებისას;
 - 2.1.2. ელექტროენერგიის მოქმედება: დენის ძალის მკვეთრი ცვლილება, ძაბვის მატება, მოკლე ჩართვა;
 - 2.1.3. მეხის დაცემის ან სხვა ატმოსფერული განმუხტვის შედეგად წარმოქმნილი ძაბვის მატება ან ინდუქციური მოქმედება;
 - 2.1.4. ცენტრიფუგული ძალების მოქმედება;
 - 2.1.5. წყლის ნაკლებობა ორთქლის ბოილერებში ან სხვა მოწყობილობაში;
 - 2.1.6. წნევის შემცირებით გამოწვეული შეკუმშვა;
 - 2.1.7. წნევის გაზრდით გამოწვეული რღვევა, გარდა აფეთქების;

- 2.1.8. გამაგრებელი ან გამათბობელი დანადგარის მწყობრიდან გამოსვლით;
- 2.1.9. წარმოების დეფექტი ან შეცდომა დამზადების ან აწყობის დროს.

3. გამონაკლისები

- 3.1. დაზღვევა არ ანაზღაურებს დაზიანებას ან ზარალს გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:
 - 3.1.1. ზიანი ან განადგურება, რომელიც პირდაპირ შედეგია უწყვეტი პროცესისა (როგორიცაა: ცვეთა, კავიტაცია, ეროზია, კოროზია, დალექვა);
 - 3.1.2. ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, კვამლით დაზიანება, საფრენი აპარატის ჩამოვარდნა;
 - 3.1.3. ნებისმიერი სტიქიური მოვლენები - სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, გრუნტის აწევა ან დაწევა, თოვლის სიმძიმით გამოწვეული ფიზიკური ზიანი, ჰაერის მასების მოძრაობა და სხვა;
 - 3.1.4. ქურდობა, ქურდობის მცდელობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
 - 3.1.5. მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სატრანსპორტო საშუალებათა შეჯახება, დატბორვა;
 - 3.1.6. შენობების ჩამონგრევა;
 - 3.1.7. ის ზიანი ან დანაკარგი, რომელზეც მომწოდებელი ან შემკეთებელი არის პასუხისმგებელი ხელშეკრულების მიხედვით (ვრცელდება საგარანტიო ვადა);
 - 3.1.8. ზიანი ან დანაკარგი, გამოწვეული ისეთი დეფექტებით ან დამზადების შეცდომებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა **პოლისის** მოქმედების დაწყებამდე და ამის შესახებ **თქვენი** ან **თქვენი** წარმომადგენლისთვის იყო ცნობილი;
 - 3.1.9. ზარალი ან ზიანი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გამოწვეულია მანქანა-დანადგარებისათვის წყლის, საწვავის ან ელექტრო ენერგიის მიწოდების შეწყვეტით;
 - 3.1.10. ნებისმიერ ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია ელექტრო მოწყობილობის ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხარვეზები გამოწვეული იყო ანაზღაურებადი ზარალისგან, რომელიც მიადგა ელექტრო მოწყობილობას;
 - 3.1.11. ესთეტიკური დეფექტები, როგორიცაა შეღებილ ან გაპრიალებულ ზედაპირზე გაჩენილი ნაკაწრები;

4. საფრთხის გაზრდა

- 4.1. არსებით გარემოებად განიხილება, მაგალითად, დაზღვეული მანქანა-დანადგარების გადაცემა იჯარით ან გირაოთი, მანქანა-დანადგარებზე უფლებების გადასვლა სხვა პირზე, დაზღვეული მანქანა-დანადგარების მნიშვნელოვანი დაზიანება, განადგურება ან რეკონსტრუქცია, უმეტესაღმრთოდ დატოვება, სადაზღვეო განაცხადში მითითებული ინფორმაციის შეცვლა;
- 4.2. დამოუკიდებლად იმისა, მოხდა თუ არა საფრთხის გაზრდა, **ჩვენ** უფლება გვაქვს დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შევამოწმოთ დაზღვეული მანქანა-დანადგარების მდგომარეობა, ასევე **თქვენ** მიერ მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობა.

5. სადაზღვეო თანხა

- 5.1. სადაზღვეო თანხა ყოველი დასაზღვევი მანქანა-დანადგარისათვის არ უნდა აღემატებოდეს მის რეალურ ღირებულებას. თუ სადაზღვეო პერიოდის განმავლობაში აღმოჩნდა, რომ სადაზღვეო თანხა აღემატება რეალურ ღირებულებას, მაშინ ორივე მხარეს გვაქვს უფლება შევამციროთ სადაზღვეო თანხა მანქანა-დანადგარების რეალურ ღირებულებამდე;
- 5.2. რეალური ღირებულება განისაზღვრება დაზღვეული მანქანა-დანადგარების ახალი, იმავე ტიპის და სიმძლავრის

- მანქანა-დანადგარებით შეცვლის ღირებულებით, რომელიც მოიცავს ტრანსპორტირებას, საბაჟო გადასახადებს და მოსაკრებლებს (თუ არსებობს ასეთი) და მონტაჟის ღირებულებას. იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია რეალური ღირებულების განსაზღვრა ასანაზღაურებელი თანხის კალკულაციისას დავეყრდნობით ურთიერთშეთანხმებული ექსპერტის კალკულაციას;
- 5.3. შეფარდება სადაზღვევო და რეალურ თანხებს შორის განისაზღვრება ყოველი ცალკეული მანქანა-დანადგარის ან მათი ჯგუფისათვის, რომლებიც მითითებულია **პოლისში**;
- 5.4. სადაზღვევო ანაზღაურების სახით (დაზღვეული მანქანა-დანადგარების გადარჩენის ხარჯების ჩათვლით) **ჩვენ** არ გადავიხდით უფრო მეტს ვიდრე არის სადაზღვევო თანხა ან მანქანა-დანადგარების რეალური ღირებულება;
- 5.5. სადაზღვევო თანხა შემცირდება **ჩვენ** მიერ ყველა ანაზღაურებული ზარალის და გამოყენებული **ფრანშიზის** ოდენობით. სადაზღვევო თანხა შემცირდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან;
- 5.6. დაზიანებული მანქანა-დანადგარების აღდგენის ან შეკეთების შემდეგ, **თქვენ** შეგიძლიათ დამატებითი **პრემიის** გადახდის სანაცვლოდ აღადგინოთ საწყისი სადაზღვევო თანხა.

6. მხარეთა ვალდებულებები:

- 6.1.1. **ჩვენი** მოთხოვნის საფუძველზე ასევე შეატყობინოთ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს ან სხვა კომპეტენტურ უწყებებს;
- 6.1.2. შეკრიბოთ **ჩვენი**, სამართალდამცავი ორგანოების, ან სხვა კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების მისვლამდე ხელმისაწვდომი წინასწარი ინფორმაცია შემთხვევის მიზეზისა და გარემოებების შესახებ და გადმოგვცეთ **ჩვენ** გარემოებების შემდგომი გამოძიებისათვის;
- 6.1.3. შეინარჩუნოთ დაზიანებული მანქანა-დანადგარები **ჩვენი** წარმომადგენლების მისვლამდე იმ სახით, როგორშიც ის აღმოჩნდა სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ; ამასთან შეგიძლიათ შეცვალოთ დაზიანებული მანქანა-დანადგარის გარეგნული სახე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება მიმართულია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან ზარალის შემცირებისკენ და შეთანხმებულია **ჩვენთან**;
- 6.1.4. **ჩვენ** მიერ შეტყობინების მიღების შემდეგ, **თქვენ** შეგიძლიათ შეაკეთოთ ან შეცვალოთ მცირედ დაზიანებული საგნები, სხვა დანარჩენ შემთხვევაში **ჩვენ** წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა შეამოწმონ ზიანი ან განადგურება შეკეთების დაწყებამდე;
- 6.1.5. თუ **ჩვენი** წარმომადგენლები არ ჩაატარებენ შემოწმებას 2 კვირის ვადაში, მაშინ **თქვენ** უფლება გაქვთ განახორციელოთ შეკეთება ან შეცვლა;
- 6.1.6. **ჩვენ** არ განვიხილავთ ზარალის ანაზღაურების საკითხს ისეთი მანქანა-დანადგარის ან მისი დეტალის შესახებ, რომელიც ასრულებს სამუშაოს ზარალის გაცხადების შემდეგ, **ჩვენ** მიერ მოთხოვნილ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობამდე აღდგენის გარეშე ან თუ დროებით შეკეთდება **ჩვენი** თანხმობის გარეშე;
- 6.1.7. არაუგვიანეს 1 თვისა სადაზღვევო შემთხვევის დღიდან, მოგვაცნოდით წერილობითი განაცხადი, რომელიც შეიცავს სადაზღვევო შემთხვევის დეტალების შესახებ **თქვენთვის** ცნობილ ყველა გარემოებას და მანქანა-დანადგარების განადგურების, დაზიანების ან სხვა დანაკარგის შემთხვევაში შესაბამისი მანქანა-დანადგარების აღწერილობა და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სადაზღვევო შემთხვევის დღის მდგომარეობით;
- 6.1.8. მოგვცეთ იმის შესაძლებლობა, რომ დავათვალიეროთ ან გამოვიკვლიოთ დაზიანებული დაზღვეული მანქანა-დანადგარები, გამოვიძიოთ მიზეზები და დავადგინოთ ზარალის სიდიდე;

/დაზღვევი/

- 6.1.9. წარმოგიდგინოთ საკუთრების უფლების ან სხვა ქონებრივი ინტერესის დამადასტურებელი საბუთი განადგურებულ, დაკარგულ ან დაზიანებულ მანქანა-დანადგარებზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში;

7. უსაფრთხოების მოთხოვნები

- 7.1. **თქვენ** ვალდებული ხართ გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოთ ის შენობა, რომელშიც განლაგებულია სადაზღვევო მანქანა-დანადგარები;
- 7.2. **თქვენ** ვალდებული ხართ შეინარჩუნოთ სადაზღვევო მანქანა-დანადგარების უსაფრთხოება - იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენობა, რომელშიც მდებარეობს სადაზღვევო მანქანა-დანადგარები რჩება უმეტესადაც უფრო, შენობის კარებები, ფანჯრები ან სხვა ტიპის შესასვლელი/გამოსასვლელი, სათავსოები უნდა იყოს სათანადოდ დახურული.

8. სადაზღვევო ანაზღაურება

- 8.1. **სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება:**
- 8.1.1. მანქანა დანადგარების სრული განადგურებისას – მისი რეალური ღირებულების ფარგლებში (არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა), ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ნარჩენი ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დარჩენილი მანქანა-დანადგარების ღირებულება);
- 8.1.2. მანქანა დანადგარების ნაწილობრივი დაზიანებისას – მისი უშუალოდ შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად საჭირო დანახარჯების მიხედვით;
- 8.2. **თქვენ** არ შეგიძლიათ უარი განაცხადოთ ნარჩენ მანქანა-დანადგარებზე, რომელიც დარჩა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, მიუხედავად მისი დაზიანების ხარისხისა. მანქანა-დანადგარების ნარჩენი ღირებულება გამოიქვითება ასანაზღაურებელი თანხიდან;
- 8.3. მანქანა-დანადგარების სრული განადგურებისას **ჩვენ** უფლებამოსილნი ვართ ავინაზღაუროთ სადაზღვევო თანხა სრულად (შესაბამისი **ფრანშიზის** გამოკლებით), მანქანა-დანადგარების ნარჩენი ღირებულების გამოკლების გარეშე. ამასთან, **ჩვენზე** გადმოდის საკუთრების უფლება მანქანა-დანადგარებზე, რომელიც მიიჩნევა მთლიანად განადგურებულად;
- 8.4. მანქანა-დანადგარები შეიძლება ჩაითვალოს სრულად განადგურებულად, თუ დანახარჯები მისი რემონტისათვის და აღდგენისათვის აღემატება მის რეალური ღირებულებას;
- 8.5. **დანახარჯები აღდგენაზე შეიცავს:**
- 8.5.1. დანახარჯებს რემონტის მასალებზე;
- 8.5.2. დანახარჯებს სარემონტო სამუშაოს ანაზღაურებაზე;
- 8.5.3. დანახარჯებს, რომელიც საჭიროა მასალების რემონტის ადგილამდე მისატანად;
- 8.5.4. სხვა დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია დაზღვეული მანქანა-დანადგარების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად;
- 8.6. **სადაზღვევო ანაზღაურებისას არ იქნება ანაზღაურებული:**
- 8.6.1. დანახარჯები, რომელიც მიმართულია დაზღვეული მანქანა-დანადგარების ცვლილებისაკენ ან გაუმჯობესებისაკენ;
- 8.6.2. ნებისმიერი დანახარჯები რომელიც არ არის პირდაპირ მიმართული დაზიანებული მანქანა-დანადგარების აღსადგენად;
- 8.7. დანახარჯები აღდგენაზე გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევისას არსებული საბაზრო ფასებიდან გამომდინარე;
- 8.8. აღდგენითი სამუშაოებისას, დანახარჯებიდან გამოიქვითება რემონტის პროცესში გამოსაცვლელი დეტალების და ნაწილების ცვლა.

- 8.9. **თქვენ** ასევე აგინაზღაურდებით დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეული მანქანა-დანადგარების გადარჩენასთან და წინასწარ შეთანხმებულია **ჩვენთან**. **ჩვენ** ასევე აგინაზღაურებთ დაზღვეული მანქანა-დანადგარების გადარჩენისათვის გაწეულ ხარჯებს თუ გარემოებების გამო შეუძლებელია **ჩვენთან** შეთანხმება და ხარჯები გონივრული ოდენობისაა გადასარჩენი მანქანა-დანადგარების ღირებულებასთან მიმართებაში;
- 8.10. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროისათვის მანქანა-დანადგარების რეალური ღირებულება აღმოჩნდა სადაზღვევო თანხაზე მეტი, მაშინ ზარალის ანაზღაურება მოხდება დაზღვეული მანქანა-დანადგარის სადაზღვევო თანხისა და რეალური ღირებულების პროპორციულად, იმგვარად რომ ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდეს იმ პროცენტს რეალური ზარალისა, რამდენიც არის სადაზღვევო თანხა დაზღვეული მანქანა-დანადგარის რეალურ ღირებულებაში;

9. რეგრესი

- 9.1. სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგ, **ჩვენზე** გადმოდის მოთხოვნის უფლება გადახდილი თანხის ფარგლებში, რომელიც **თქვენ** ან **მოსარგებლეს** გაქვთ იმ პირის მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია ზარალზე;
- 9.2. **თქვენ** ან **მოსარგებლე** ვალდებული ხართ გადმოგვცეთ ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ გადმოსული რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის;
- 9.3. თუ **თქვენ** ან **მოსარგებლემ** უარი განაცხადეთ **ჩვენთვის** რეგრესული მოთხოვნის უფლების გადმოცემაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, იმ ზარალზე რომელიც ავანაზღაურეთ **ჩვენ** ან ასეთი უფლების შესრულება შეუძლებელი გახდა **თქვენი** ან **მოსარგებლის** ქმედებით, მაშინ **ჩვენ** ვთავისუფლდებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან და უფლება გვქვს მოვითხოვოთ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება.

10. დაზღვევის ხელშეკრულების დასრულება და ბათილობა

- 10.1. თუ დაზღვეულმა მანქანა-დანადგარმა შეწყვიტა თავისი არსებობა;
- 10.2. დაზღვევის ხელშეკრულება უნდა დაიდოს მხოლოდ იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც კანონის, სხვა სამართლებრივი აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნია დაზღვეული მანქანა-დანადგარების შენარჩუნების ინტერესი (მაგალითად: მესაკუთრე, დამქირავებელი და ა.შ.). დაზღვეულ მანქანა-დანადგარზე **თქვენი** სადაზღვევო ინტერესის არარსებობისას, დადებული დაზღვევის ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად.

დაზღვევის სპეციფიური პირობები: მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის შედეგად საქმიანობის შეფერხებისგან დაზღვევა

1. განმარტებები

- 1.1. **ანაზღაურების ლიმიტი** - პოლისში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი ანაზღაურების პერიოდის მანძილზე;
- 1.2. **ანაზღაურების პერიოდი** - პოლისში მითითებული დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოხდება ზარალის ანაზღაურება წინამდებარე დაფარვის მიხედვით, შესაბამისი ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში;
- 1.3. **მოცდის პერიოდი** (ფრანშიზა) - დროის პერიოდი ზარალის დადგომის მომენტიდან, რომლის განმავლობაშიც არ მოხდება ზარალის ანაზღაურება. მოცდის პერიოდის შესაბამისი ზარალის ოდენობა არ დაეკვემდებარება ანაზღაურებისას;

2. საერთო დებულებანი

წინამდებარე პირობების მიხედვით დადებული დაზღვევის ხელშეკრულების თანხმად, თქვენ ავანაზღაურდებით ზარალი რომელიც წარმოიშობა საქმიანობის შეფერხებისას, რაც გამოწვეულია დაფარული რისკების შედეგად დაზღვეული მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის შედეგად.

ჩვენ ავანაზღაურებთ საქმიანობის შეფერხების შედეგად მიყენებულ ზიანს იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა მწყობრიდან გამოსვლი დაზღვეული ქონების აღსადგენად ან ჩასანაცვლებლად, მაგრამ არაუმეტეს პოლისში მითითებული ანაზღაურების პერიოდისა და ანაზღაურების ლიმიტისა;

3. საქმიანობის შეფერხება

- 3.1. ამ დაფარვის ქვეშ თქვენ დაზღვეული ხართ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში თქვენს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს პოლისში მითითებულ მისამართზე, მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის გამო (რომელიც გამოწვეულია მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის დაზღვევის ძირითადი პოლისით დაფარული რისკებისგან გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით) საქმიანობის იძულებითი შეწყვეტის შედეგად მიყენებული პირდაპირი ზარალისაგან;
- 3.2. ამგვარი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ჩვენ ავანაზღაურებთ საქმიანობის იძულებითი შეწყვეტის შედეგად შემცირებული ბრუნვის მოცულობას, ცვლადი ხარჯების გამოკლებით (რაც უდრის ფიქსირებული ხარჯების და მოგების ჯამს);
- 3.3. ანაზღაურებას დაეკვემდებარება იმ პერიოდის განმავლობაში შეჩერებული საქმიანობა, რომელიც საჭიროა ჯეროვანი გულმოდგინებით და სისწრაფით დაზიანებული ან განადგურებული მანქანა-დანადგარების აღსადგენად, შესაკეთებლად ან თავიდან შესაძენად. ეს პერიოდი იწყება მწყობრიდან გამოსვლის შემდგომ მოცდის პერიოდის გასვლის დღიდან და შემოიფარგლება პოლისში მითითებული ანაზღაურების პერიოდით;

4. პირობები

- 4.1. პირდაპირი ზიანი. იმისათვის რათა ზარალი დაეკვემდებაროს ანაზღაურებას ამ დაფარვით, პირველ რიგში მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის დაზღვევის პირობებით ასევე ანაზღაურებას უნდა ექვემდებარებოდეს უშუალოდ მანქანა-დანადგარების მიმართ

მიყენებული ზარალი გამოწვეული მისი მწყობრიდან გამოსვლით (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ზარალის ოდენობა არ აღემატება ფრანშიზის ოდენობას);

- 4.2. ხარჯები ზარალის შესამცირებლად.
ამ დაფარვით ასევე იფარება ის ხარჯები, რომლებიც გაწეული იქნება ზარალის შესამცირებლად, მაგრამ ეს ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს შემცირებული ზარალის ოდენობას;
- 4.3. ჯეროვანი გულმოდგინება.
თქვენ უნდა ჯეროვანი გულმოდგინებით და სისწრაფით იმოქმედოთ, რათა:
 - შემღებისდაგვარად შეამციროთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი,
 - რაც შეიძლება სწრაფად განაახლოთ შეწყვეტილი საქმიანობა.
 - თქვენს მიერ მიღებული უნდა იყოს ყველა ზომა რათა დაუყოვნებლივ აღდგეს მწყობრიდან გამოსვლილი მანქანა-დანადგარები. თუ ეს პირობა არ სრულდება ან სრულდება არასაკმარისი გულმოდგინებით (მაგ. ზედმეტი დროის დახარჯვა), მაშინ ჩვენ გვაქვს უფლება უარი განვაცხადოთ ან შევამციროთ სადაზღვევო ანაზღაურება.

ზარალის ოდენობის გამოთვლისას გათვალისწინებულ იქნება საქმიანობის შეწყვეტის აღსადგენად რეალურად აუცილებელი დრო, მაგრამ ეს დრო არ უნდა აღემატებოდეს იმ დროს, რომელიც საჭიროა ამ ქონების ჯეროვანი გულმოდგინებით და სისწრაფით შესაკეთებლად, აღსადგენად ან შესაცვლელად.

5. გამონაკლისები. დაზღვევა არ ფარავს:

- 5.1. ზარალს იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის დაზღვევის პირობებით დაზღვეული ქონებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი ანაზღაურებას არ ექვემდებარება (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ზარალის ოდენობა მოქცეულია ფრანშიზის ფარგლებში);
- 5.2. ზარალს გამოწვეულს ნებისმიერი ლიცენზიის, კონტრაქტის ან შეკვეთის შეჩერებით, გაჩერებით ან შეწყვეტით და ზარალს გამოწვეულს მანქანა-დანადგარების გადაკეთებით;
- 5.3. ზარალს, გამოწვეულს გაფიცვის ან სხვა პიროვნებების მიზეზით, ზარალის აღმოფხვრის სამუშაოების შეფერხებით.
- 5.4. ნებისმიერი შეზღუდვა აღდგენის ან ფუნქციონირების საკითხში სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან;

დაზღვევის სპეციფიური პირობები: სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

1. განმარტებები

- 1.1. **სხეულის დაზიანება** - ნიშნავს სიკვდილს, ტრავმას, ავადმყოფობას ან დაავადებას ან ამგვარი ტრავმისაგან, ავადმყოფობისაგან ან დაავადებისაგან გამოწვეულ სიკვდილს;
- 1.2. **ქონების დაზიანება** - მატერიალური ქონების ფიზიკური დაზიანება, დანაკარგი ან განადგურება;
- 1.3. **დაზღვეული საქმიანობა** - დამზღვევის საქმიანობა რომელზეც ვრცელდება დაზღვევა და მითითებულია პოლისში;
- 1.4. **ზარალის გაცხადების ვადა** - თარიღი, რომლის ჩათვლითაც გაცხადებული ზარალები ექვემდებარება ანაზღაურებას. **ზარალის გაცხადების ვადის** გასვლის შემდეგ გაცხადებული ზარალები ანაზღაურებას არ დაექვემდებარება;
- 1.5. **რეტროაქტიური თარიღი** - თარიღი, რომლის შემდგომ მომხდარი შემთხვევაც, რომელიც გაცხადდა **ზარალის გაცხადების ვადამდე**, ექვემდებარება ანაზღაურებას.

2. დაზღვეული რისკები

- 2.1. ანაზღაურებას ექვემდებარება დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი და პოლისში მითითებული **ზარალის გაცხადების ვადამდე** გაცხადებული შემთხვევა, რომელიც იწვევს:
 - ✓ მესამე პირის ქონების დაზიანებას ან/და
 - ✓ მესამე პირის სხეულის დაზიანებასდა რომლის ანაზღაურებაზეც სამართლებრივად პასუხისმგებელი ხარტ **თქვენ**;
- 2.2. ანაზღაურდება მხოლოდ სადაზღვევო ტერიტორიაზე დაზღვეული საქმიანობის განხორციელებისას მომხდარი შემთხვევები;
- 2.3. იმ შემთხვევაში, როდესაც **პოლისით** განსაზღვრულია **რეტროაქტიური თარიღი**, რომელიც ნაკლებია სადაზღვევო პერიოდის დასაწყისზე, ანაზღაურებას დაექვემდებარება ასევე ამ **რეტროაქტიური თარიღის** შემდგომ, მაგრამ **პოლისის** ვადის ამოწურვამდე მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები.

3. გამონაკლისები

- 3.1. დაზღვევა არ ანაზღაურებს ზიანს:
 - 3.1.1. ნივთიერებების შეღწევით ან გამოჟონვით, დაბინძურებით გამოწვეული პასუხისმგებლობით;
 - 3.1.2. გამოწვეულს პასუხისმგებლობით, რაზეც **თქვენ**, როგორც დამსაქმებელი, პასუხისმგებელი ხარტ თანამშრომლის მიმართ ამ თანამშრომლის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულებისას;
 - 3.1.3. ნებისმიერი სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო და ავტოსატრანსპორტო საშუალების (ან მისაბმელის) მართვით ან განკარგვით გამოწვეული ან მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობით;
 - 3.1.4. **თქვენს** საკუთრებაში არსებული, მოზარებული, დროებით სარგებლობაში გადმოცემული ან კონტროლის ქვეშ მყოფ ქონების დაზიანებით გამოწვეული პასუხისმგებლობით;
 - 3.1.5. გამოწვეულს **თქვენს** მიერ წარმოებული ან მიწოდებული პროდუქციით. ასევე არ ანაზღაურდება ხარჯები რომელიც უკავშირდება პროდუქციის შემოწმებას, დეფექტების აღმოფხვრას, ჩანაცვლებას ან ბრუნვიდან ამოღებას;
 - 3.1.6. გარემოს, ჰაერის, წყლის ან ნიადაგის დაბინძურებით გამოწვეული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პასუხისმგებლობით;
 - 3.1.7. ცილისწამებით ან მორალურ ზიანით გამოწვეული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პასუხისმგებლობით;

/დამზღვევი/

- 3.1.8. გამოწვეულს პასუხისმგებლობით წმინდა ფინანსურ ზარალზე, რომელიც არ გამომდინარეობს ქონების ან სხეულის დაზიანებისაგან;
- 3.1.9. გამოწვეულს ნებისმიერი თანმდევი ან არაპირდაპირი ზიანით ან ზარალით;
- 3.1.10. დამზღვევის მიმართ დაკისრებული ნებისმიერი საჯარიმო სანქციებით გამოწვეული პასუხისმგებლობით;
- 3.1.11. გამოწვეულს პასუხისმგებლობით, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამომდინარეობს აზბესტის ან მისი შემცველი პროდუქტების მოქმედებით;
- 3.1.12. პროფესიული საქმიანობის განხორციელებით, კონსულტაციით, მკურნალობით ან ამგვარის განუხორციელებლობით (პროფესიული პასუხისმგებლობა) გამოწვეული ნებისმიერი პასუხისმგებლობით;
- 3.1.13. გამოწვეულს პასუხისმგებლობით, რომელიც წარმოიქმნება **თქვენს** მიერ გაფორმებული ხელშეკრულებიდან ან ნებისმიერი სხვა შეთანხმებიდან, გარდა ისეთი პასუხისმგებლობისა რომელიც ისედაც დაგეგმისრებოდათ ამ ხელშეკრულების არ არსებობის პირობებში.

4. საფრთხის გაზრდა

- 4.1. არსებით გარემოებად განიხილება, მაგალითად, დაზღვეულის ჩვეული საქმიანობის ცვლილება, ასევე განაცხადში მითითებული ინფორმაციის შეცვლა;
- 4.2. თუ **თქვენ** უარს აცხადებთ **დაზღვევის ხელშეკრულების** პირობების შეცვლაზე ან დამატებითი **პრემიის** გადახდაზე, **დაზღვევის ხელშეკრულება** წყვეტს მოქმედებას საფრთხის გაზრდის მომენტიდან.

5. ანაზღაურების ლიმიტი

- 5.1. სადაზღვევო ანაზღაურების სახით **ჩვენ** ავანაზღაურებთ ზიანზე ჯამური პასუხისმგებლობის მოცულობას (იურიდიული და სასამართლოს ხარჯების ჩათვლით), მაგრამ არაუმეტეს **პოლისში** მითითებული ანაზღაურების ლიმიტისა;
- 5.2. ანაზღაურების ლიმიტი შემცირდება **ჩვენს** მიერ ყველა ანაზღაურებული ზარალის და გამოყენებული **ფრანშიზის** ოდენობით. ანაზღაურების ლიმიტი შემცირდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან;
- 5.3. **თქვენ** შეგიძლიათ დამატებითი **პრემიის** გადახდის სანაცვლოდ აღადგინოთ საწყისი ანაზღაურების ლიმიტი.

6. მხარეთა ვალდებულებები:

- 6.1. **თქვენ** ვალდებული ხარტ დაუყოვნებლივ მიღებისთანავე, მოგვაცოდოთ **თქვენი** ან **თქვენი** წარმომადგენლის სახელზე შესაძლო სადაზღვევო შემთხვევაშიან დაკავშირებით მიღებული ყველა წერილი, სარჩელი, უწყება და სხვა კორესპონდენცია;
- 6.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას **თქვენ** ვალდებული ხარტ:
 - 6.2.1. არ აღიაროთ პასუხისმგებლობა ან არ მიიღოთ რაიმე ისეთი ზომა რომელიც შესაძლებელია მიჩნეული იქნას პასუხისმგებლობის აღიარებად **ჩვენთან** წერილობითი შეთანხმების გარეშე;
 - 6.2.2. წარმოგვიდგინოთ **თქვენი** პასუხისმგებლობის დადგომის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

7. სადაზღვევო ანაზღაურება

- 7.1. **ჩვენ** ავანაზღაურებთ (ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში):
 - 7.1.1. თანხას, რომლის გადახდაც **თქვენ** დაგეგმისრებათ სასამართლოს მიერ (გარდა სასამართლოს მიერ

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) **მესამე პირისათვის** მიყენებული ზარალისთვის, ან/და

- 7.1.2. თანხას, რომლის გადახდაზეც მოვილაპარაკებთ **თქვენსა** და დაზარალებულ **მესამე პირს** შორის სასამართლოს გარეშე (იხილეთ პუნქტი 7.3);
- 7.1.3. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ზარალის დარეგულირებასთან;
- 7.2. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის გაღება (იურიდიული თუ სხვა) ან **მესამე პირის** მიმართ პასუხისმგებლობის აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ **ჩვენთან** წერილობითი შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ შესაბამისი ზარალი;
- 7.3. თუ თანხა ანაზღაურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, თანხა გამოითვლება შემდეგნაირად:
- 7.3.1. **მესამე პირის** ქონების დაზიანებისას, **პოლისში** მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:
- თუ **მესამე პირის** ქონება მთლიანად განადგურდა – ქონების საბაზრო ღირებულებას გამოაკლდება ნარჩენების ღირებულება;
 - თუ **მესამე პირის** ქონება არ არის სრულად განადგურებული, ანაზღაურდება სარემონტო ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ზარალამდე არსებულ კონდიციამდე მისაყვანად;
- 7.3.2. **მესამე პირის** ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანისას, **პოლისში** მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:
- დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული პირი ვერ მიიღებს შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის გამო, მაგრამ არა უმეტეს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;
 - დაზარალებული პირის სამკურნალოდ საჭირო თანხები;
 - დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, მაგრამ არა უმეტეს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა. ამ პუნქტში აღნიშნული რისკის დადგომის შემთხვევაში, ზარალი აუნაზღაურდება მხოლოდ დაზარალებული პირის მემკვიდრეს (მემკვიდრებს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 7.4. იმ შემთხვევაში, თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალებმა რამდენიმე **მესამე პირი**, ხოლო **თქვენზე** დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადაჭარბებს **პოლისში** მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორიულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);

დაზღვევის სპეციფიური პირობები: თანამშრომელთა საკომპენსაციო დაზღვევა

1. განმარტებები

- 1.1. **საწარმოო (პროფესიული) დაავადება** - ქრონიკული დაავადება, რომელიც ჩნდება დაზღვეული საქმიანობის ფარგლებში პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და რომელიც გამოვლინდა პოლისის მოქმედების პერიოდში;
- 1.2. **მუდმივი სრული შრომისუნარიანობა** - მხოლოდ უბედური შემთხვევით და რაიმე სხვა გარეგანი ზეგავლენით გამოწვეული სხეულის დაზიანება, რომელიც შემთხვევის დადგომის დღიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში გამოიწვევს დაზღვეულის შრომისუნარიანობის სრულ მუდმივ დაკარგვას;
- 1.3. **მუდმივი ნაწილობრივი შრომისუნარიანობა** - მხოლოდ უბედური შემთხვევით და რაიმე სხვა გარეგანი ზეგავლენით გამოწვეული სხეულის დაზიანება, რომელიც უბედური შემთხვევის დღიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში გამოიწვევს შრომისუნარიანობის ნაწილობრივ მუდმივ დაკარგვას;
- 1.4. **გარდაცვალება** - უბედური შემთხვევის დღიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში მომხდარი, უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის გარდაცვალება.

2. დაზღვევის საგანი

- 2.1. დაზღვევის საგანია **თქვენი თანამშრომლის** ან მისი მოსარგებლის ფინანსური ინტერესები, დაკავშირებული უბედური შემთხვევის შედეგად შემოსავლის დროებით ან მუდმივ შემცირებასთან და/ან დაკარგვასთან, **თქვენი** თანამშრომლის შრომისუნარიანობის დაკარგვას ან გარდაცვალებასთან;
- 2.2. ანაზღაურებას ექვემდებარება ხარჯები, დაკავშირებული დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარ უბედურ შემთხვევასთან, რომელიც იწვევს **თქვენი თანამშრომლის** სხეულის და/ან ჯანმრთელობის დაზიანებას, საწარმოო დაავადების ჩათვლით;
- 2.3. ანაზღაურებას ასევე ექვემდებარება ყველა სხვა ხარჯი, დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევასთან (მათ შორის ადვოკატის ან/და სასამართლო ხარჯები);
- 2.4. ანაზღაურებას ექვემდებარება **თქვენი თანამშრომლის** მიერ მხოლოდ თავის სამუშაო ადგილზე **თქვენთან** შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები;
- 2.5. სადაზღვევო დაფარვა არ ვრცელდება ავიაკომპანიის თანამშრომლებსა და ეკიპაჟზე; გემების ეკიპაჟსა და მცვენთავეზზე; მდაროელებზე;
- 2.6. სადაზღვევო დაფარვა ვრცელდება უბედურ შემთხვევაზე, რომელსაც ადგილი ქონდა მხოლოდ სამუშაო დღეებში, სამუშაო საათებში, ასევე პირდაპირ, გზის გაუმრუდებლად საცხოვრებელი ადგილიდან სამსახურში და სამსახურიდან საცხოვრებელ ადგილამდე მგზავრობის ჩათვლით.

3. დაზღვეული რისკები

- 3.1. უბედური შემთხვევით გამოწვეული **მუდმივი ნაწილობრივი შრომისუნარიანობა**.
- 3.2. უბედური შემთხვევით გამოწვეული **მუდმივი სრული შრომისუნარიანობა და გარდაცვალება**.
- 3.3. უბედური შემთხვევით გამოწვეული **დროებითი სრული შრომისუნარიანობა**. უბედური შემთხვევის შედეგად სხეულის და/ან ჯანმრთელობის დაზიანების ან გაუარესების მიზეზით სრული შრომისუნარიანობის დადგომით გამოწვეული სახლში ყოფნა.

- 3.4. უბედური შემთხვევით გამოწვეული **სტაციონარში განთავსება**.

4. გამონაკლისები

დაზღვევა არ ანაზღაურებს დაზიანებას ან ზარალს გამოწვეულს:

- 4.1. უბედურ შემთხვევამდე არსებული ფიზიკური ნაკლებობა, ანომალიებით ან დაავადებებით;
- 4.2. ჩატარებული ან მიმდინარე მკურნალობით ან სამედიცინო ჩარევით, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი სამედიცინო ჩარევა ან მკურნალობა (რადიოდაგნოსტიკისა და რადიოთერაპიის ჩათვლით) აუცილებელია უბედური შემთხვევის შედეგად, რომელიც წინამდებარე დაზღვევით იფარება;
- 4.3. ინფექციებით, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ უბედური შემთხვევის დროს, რომელიც წინამდებარე პოლისით იფარება, მომხდარი დაზიანების შედეგად **თქვენი თანამშრომლის** ორგანიზმში ინფექცია შეიჭრა;
- 4.4. კანის ან ლორწოვანი გარსის უმნიშვნელო დაზიანებებით, რომელთა შედეგადაც **თქვენი თანამშრომლის** ორგანიზმში მაშინვე ან მოგვიანებით ინფექცია შეიჭრა (გარდა ცოფისა და ტეტანუსისა);
- 4.5. აბდომინალური ან საზარდულის თიაქრით, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი დაზიანება შედეგად მოყვა უბედურ შემთხვევას, რომელიც იფარება წინამდებარე პირობებით;
- 4.6. მალთაშორისი დისკების დაზიანებით, სისხლდენით შინაგანი ორგანოებიდან და თავის ტვინში სისხლჩაქცევით, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება თუ წინამდებარე პირობებით დაფარული უბედური შემთხვევა წარმოადგენს ზემოაღნიშნულის პირველად მიზეზს;
- 4.7. ორსულობის შეწყვეტით ან ნაადრევი მშობიარობით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობიარობა უბედური შემთხვევით იქნება დაჩქარებული;
- 4.8. გონებრივი, ფსიქიური ან ფსიქოსომატური დარღვევებით;
- 4.9. უბედური შემთხვევით, რომელიც დადგა **თქვენი თანამშრომლის** ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას;
- 4.10. განსაკუთრებული საფრთხის მიმართ შეგნებულ გაუფრთხილებლობით;
- 4.11. **თქვენი თანამშრომლის** თვითმკვლელობით ან ამგვარის მცდელობით, შეგნებული თვითდაზიანებით;
- 4.12. **თქვენი თანამშრომლის** მიერ ჩადენილი დანაშაულით ან მისი ჩადენის მცდელობით;
- 4.13. **თქვენი თანამშრომლის** საპაერო მგზავრობისას;
- 4.14. სანადგომო, აკრობატულ ილეთებით, ნებისმიერი სახის რეკორდის დამყარებით ან მისი მცდელობით და მისთვის მზადებით;
- 4.15. სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაში დაინტერესებული პირის (მოსარგებლის, მემკვიდრის) მიერ, **თქვენი თანამშრომლის** წინასწარ განზრახული მკვლელობით ან მკვლელობის მცდელობით;
- 4.16. **თქვენი თანამშრომლის** ყოფნით ან მონაწილეობით პოლიციის, სამხედრო ფლოტის, ჯარის ან სამხედრო საპაერო ძალების შემადგენლობაში ან სამხედრო ოპერაციებში;
- 4.17. სპორტის სახეობებში, პროფესიონალურ თუ სამოყვარულო სპორტში, აკვალანგით ყვინთვაში, კლდეზე ცოცვაში ან ალპინიზმში, სპელოლოგიაში, დელტაპლანერიზმში, პარაშუტით ხტომაში, ნადირობაში, რაიმე სახის დოღებში ან რბოლებში მონაწილეობით;
- 4.18. ნებისმიერი ისეთი პროფესიული დაავადებით, რომელიც გამოწვეულია აზბესტით და/ან სილიკოზით და/ან მეზოტელიოზით;

- 4.19. **თქვენი თანამშრომლის** მიერ არასახმელეთო სამუშაოების შესრულებისას დამდგარი უბედური შემთხვევით;
- 4.20. ცილისწამებით ან მორალურ ზიანით;
- 4.21. წმინდა ფინანსურ ზარალით, რომელიც არ გამოდინარეობს სხეულის დაზიანებისაგან ან გარდაცვალებიდან;
- 4.22. ნებისმიერი თანმდევ ან არაპირდაპირი ზიანით ან ზარალით;
- 4.23. დაზღვეულის მიმართ დაკისრებული ნებისმიერი საჯარიმო სანქციებით;
- 4.24. პასუხისმგებლობით, რომელიც წარმოიქმნება **თქვენს** მიერ გაფორმებული ხელშეკრულებიდან ან ნებისმიერი სხვა შეთანხმებიდან;

5. საფრთხის გაზრდა

- 5.1. არსებით გარემოებად განიხილება, მაგალითად, დაზღვეულის ჩვეული საქმიანობის ცვლილება, ასევე განაცხადში მითითებული ინფორმაციის შეცვლა;
- 5.2. თუ **თქვენ** უარს აცხადებთ **დაზღვევის ხელშეკრულების** პირობების შეცვლაზე ან დამატებითი **პრემიის** გადახდაზე, **დაზღვევის ხელშეკრულება** წყვეტს მოქმედებას საფრთხის გაზრდის მომენტიდან.

6. მხარეთა ვალდებულებები

- 6.1. **თქვენ** ვალდებული ხართ, შეგვატყობინოთ, თუ შეიცვალეთ საქმიანობის სფერო. თუ **თქვენ** არ შეგვატყობინებთ ამ ცვლილებების შესახებ, ხოლო უკანასკნელს გავლენა ჰქონდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე, **ჩვენ** ვიტოვებთ უფლებას უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე;
- 6.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას **თქვენ** ვალდებული ხართ:
 - 6.2.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მკურნალობის დამთავრებიდან / შრომისუუნარობის დადგომიდან არაუგვიანეს 1 კვირისა, ზარალის შესახებ განაცხადთან ერთად, უნდა წარმოგვიდგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:
 - შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც ტარდებოდა მკურნალობა;
 - ცნობა სამუშაო ადგილიდან ყოველთვიური ხელზე ასაღები ხელფასის მითითებით;
 - სამედიცინო ექსპერტის გადაწყვეტილება დროებითი სრული, მუდმივი სრული, მუდმივი ნაწილობრივი შრომისუუნარობის დადგომის შესახებ;
 - ცნობა სამართალდამცავი ორგანოებიდან უბედური შემთხვევის შესახებ;
 - **თქვენი თანამშრომლის** პირადობის მოწმობის ასლი;
 - ცნობა გარდაცვალების შესახებ, სამედიცინო დასკვნა გარდაცვალების შესახებ;
 - შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს ცნობა პროფესიული დაავადების დადასტურების შესახებ;

7. სადაზღვევო ანაზღაურება

- 7.1. უბედური შემთხვევით გამოწვეული **თქვენი თანამშრომლის მუდმივი ნაწილობრივი შრომისუუნარობის** შემთხვევაში ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს ანაზღაურების ლიმიტის პროცენტულ წილს (მე-8 პარაგრაფის შესაბამისად), ტრავმის სიმძიმის მიხედვით;
- 7.2. უბედური შემთხვევით გამოწვეული **თქვენი თანამშრომლის მუდმივი სრული შრომისუუნარობის და გარდაცვალების** შემთხვევაში ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს – ანაზღაურების ლიმიტის 100%-ს;
- 7.3. უბედური შემთხვევით გამოწვეული **დროებითი სრული შრომისუუნარობა**. უბედური შემთხვევის შედეგად სხეულის და/ან ჯანმრთელობის დაზიანების ან გაუარესების მიზეზით

სრული შრომისუუნარობის დადგომით გამოწვეული სახლში ყოფნა.

ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს ხელზე ასაღები ხელფასის 70%-ს გაცდენილ სამუშაო დღეებში პირველი 14 სამუშაო დღის გამოკლებით, მაგრამ არა უმეტეს 25 კვირისა;

- 7.4. უბედური შემთხვევით გამოწვეული **სტაციონარში განთავსება**. ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სტაციონარში გატარებული დღეების რაოდენობა გამრავლებული დღეში ასანაზღაურებელ თანხაზე - **250 ლარი, მაქსიმალური ანაზღაურების** ლიმიტის ფარგლებში;
- 7.5. უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა მოხდება დაზღვეულის კანონით განსაზღვრულ მემკვიდრე(ებ)ზე;
- 7.6. იმ შემთხვევაში, თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალებულ რამდენიმე **თქვენი თანამშრომელი**, ხოლო ჯამური ზარალის ოდენობა გადააჭარბებს **პოლისში** მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);
- 7.7. **ჩვენ** ავანაზღაურებთ ზარალის მხოლოდ იმ წილს, რომელიც აღემატება ნებისმიერ სხვა კომპენსაციას ან/და ანაზღაურებას მიღებულს **თქვენი თანამშრომლის** მიერ, დაკავშირებულს აღნიშნულ ზარალთან, თუ ასეთი იარსებებს (სახელმწიფოს მხრიდან მიღებული კომპენსაციები, სხვა დაზღვევები ა.შ.);

8. ანაზღაურების ცხრილი

სადაზღვევო ანაზღაურების განსაზღვრის წესი. თქვენი თანამშრომლის გარდაცვალების, მუდმივი სრული შრომისუუნარობის ან მუდმივი ნაწილობრივი შრომისუუნარობის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა გამოითვლება ქვემოთ მოყვანილი პროცენტული წილების მიხედვით, სადაც 100%-ნი ანაზღაურება უდრის მიმდინარე ანაზღაურების ლიმიტს.

გარდაცვალება	100%
მუდმივი სრული შრომისუუნარობა:	100%
მხედველობის სრული დაკარგვა ორივე თვალში	100%
ორივე ყურში სმენის დაკარგვა, ტრავმის შედეგად	100%
ქვედა ყბის მოცილება	100%
მეტყველების უნარის დაკარგვა	100%
ორივე მკლავის ან ორივე მტევნის დაკარგვა	100%
ერთი ზედა და ერთი ქვედა კიდურის დაკარგვა	100%
ერთი ზედა კიდურის და ერთი ტერფის დაკარგვა	100%
ერთი მტევნის და ერთი ტერფის დაკარგვა	100%
ორივე ქვედა კიდურის დაკარგვა	100%
ორივე ტერფის დაკარგვა	100%

კიდურების ან ორგანოების დაკარგვა ნიშნავს კიდურის ან ორგანოს ფუნქციის სრულ, მუდმივ მოშლას, ან მათ ფიზიკურ დაკარგვას.

მუდმივი ნაწილობრივი შრომისუუნარობა	
თავის ქალას ძვლოვანი ქსოვილის დეფექტი:	
6 სმ2-ზე მეტი ზომით	40%
ზომით 3-6 სმ2	20%
3 სმ2-ზე ნაკლები ზომით	10%
ნახევარი ქვედა ან ზედა ყბის დაკარგვა	40%
მხედველობის დაკარგვა ერთ თვალში	50%
ერთ ყურში სმენის დაკარგვა, ტრავმის შედეგად	30%

ზედა კიდურები	მარჯვენა	მარცხენა
ერთი მკლავის/მტევნის დაკარგვა	70%	60%
კანკუნთის ნერვის სრული დაზიანება	20%	15%
მხრის სახსრის ანკილოზი	40%	30%
იდაყვის სახსრის ანკილოზი		
- ხელსაყრელ პოზიციაში (15° ფარგლებში)	25%	20%
- არახელსაყრელ პოზიციაში	40%	35%
შუამდებარე ნერვის სრული დაზიანება	45%	35%
სხივის ნერვის სრული დაზიანება მხრის წნულში	40%	30%
სხივის ნერვის წინამხრის ნაწილის სრული დაზიანება	30%	25%
სხივის ნერვის მტევნის ნაწილის სრული დაზიანება	20%	15%
იდაყვის ნერვის სრული დაზიანება	30%	25%
მაჯის სახსრის ანკილოზი ხელსაყრელ პოზიციაში (სწორ და პრონაციის პოზიციაში)	20%	15%
მაჯის სახსრის ანკილოზი არახელსაყრელ პოზიციაში (მოხრილ ან სუპინაციის პოზიციაში)	30%	25%
ცერა თითის დაკარგვა	20%	15%
ცერა თითის ფრჩხილის ფალანგის დაკარგვა	10%	5%
ცერა თითის სრული ანკილოზი	15%	10%
საჩვენებელი თითის დაკარგვა	15%	10%
საჩვენებელი თითის ორი ფალანგის დაკარგვა	10%	8%
საჩვენებელი თითის ფრჩხილის ფალანგის დაკარგვა	5%	3%
საჩვენებელი თითის ფრჩხილის ფალანგის დაკარგვა	5%	3%
შუათითის დაკარგვა	10%	8%
ნებისმიერი სხვა თითის დაკარგვა	7%	3%
ნებისმიერი სხვა თითის ფრჩხილის ფალანგის დაკარგვა	3%	1%

თუ თქვენი თანამშრომელი არის ცაცია პროცენტები, რომლებიც შეესაბამება მარჯვენა და მარცხენა ზედა კიდურების დაზიანებას/დაკარგვას იქნება შენაცვლებული.

ქვედა კიდურები	
ერთი ფეხის დაკარგვა ბარძაყის ქვედა ორი მესამედის ზევით	70%
ერთი ფეხის დაკარგვა ბარძაყის ზედა მესამედის ქვემოთ	60%
ერთი ტერფის დაკარგვა	45%
ბარძაყის ნერვის სრული დაზიანება	60%
დიდი წვივის ნერვის ან მცირე წვივის ნერვის სრული დაზიანება	30%
დიდი წვივის ნერვის და მცირე წვივის ნერვის სრული დაზიანება	30%
დიდი წვივის ნერვის და მცირე წვივის ნერვის სრული დაზიანება	50%
მენჯ-ბარძაყის სახსრის ანკილოზი	40%
მუხლის სახსრის ანკილოზი	20%
კვირისტავის ძვლოვანი ქსოვილის დაზიანება, შეზღუდული მოძრაობით მუხლის სახსარში	40%
დიდი წვივის ნერვის და მცირე წვივის ნერვის სრული დაზიანება	50%
მენჯ-ბარძაყის სახსრის ანკილოზი	40%
მუხლის სახსრის ანკილოზი	20%
კვირისტავის ძვლოვანი ქსოვილის დაზიანება, შეზღუდული მოძრაობით მუხლის სახსარში	40%
კვირისტავის ძვლოვანი ქსოვილის დაზიანება, შენარჩუნებული მოძრაობით მუხლის სახსარში	20%
ქვედა კიდურის დამოკლება 5 სმ-ით და მეტი	30%
ქვედა კიდურის დამოკლება 3-5 სმ-ით	20%
ქვედა კიდურის დამოკლება 1-3 სმ-ით	10%
დიდი თითის დაკარგვა	10%
ნებისმიერი სხვა თითის დაკარგვა	3%
ნებისმიერი სხვა თითის ფრჩხილის ფალანგის დაკარგვა	1%

კიდურების ან ორგანოების დაკარგვა ნიშნავს კიდურის ან ორგანოს ფუნქციის სრულ, მუდმივ მოშლას, ან მათ ფიზიკურ დაკარგვას.

ერთდროულად, ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად რამოდენიმე ორგანოს/კიდურის დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლისას, უპირველესად ანაზღაურდება მიმდინარე სადაზღვევო თანხის უდიდესი პროცენტული წილის შესაბამისი თანხა. სხვა ორგანოს/კიდურის დაკარგვასთან დაკავშირებული ანაზღაურება გამოითვლება დარჩენილი თანხიდან (სადაზღვევო ლიმიტი პიროვნებაზე გამოკლებული ეს ანაზღაურებული უდიდესი თანხა). წყვილი ორგანოების/კიდურების დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში, მოხდება შესაბამისი პროცენტული წილების შეკრება და სრული ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს პიროვნებაზე ასანაზღაურებელი თანხის ჯამურ პროცენტულ წილს.

ერთ კაცზე/შემთხვევაზე გაცემული მთლიანი ასანაზღაურებელი თანხა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო ლიმიტს პიროვნებაზე/შემთხვევაზე. თუ პროცენტული ჯამი არის სადაზღვევო თანხის 100%-ზე მეტი, ჩვენ ავანაზღაურებთ სადაზღვევო ლიმიტის 100%.

ანაზღაურების მთლიანი თანხა ამ პირობების მიხედვით ლიმიტირებულია პოლისში აღნიშნული სადაზღვევო ლიმიტით, დანაკარგების რაოდენობის და თანხის მიუხედავად.

დაზღვევის სპეციფიური პირობები: ბიზნესის VIP პერსონების დაზღვევა

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სადაზღვევო ურთიერთობა, რომელიც ეხება დამზღვევის შემოსავლის დროებითი ან მუდმივი შემცირებით მიღებული ფინანსური ზიანის დაზღვევას, რაც გამოწვეულია დამზღვევის თანამშრომლის უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვალებით ან დროებითი/მუდმივი შრომისუნარიანობის დაკარგვით.

2. ტერმინთა განსაზღვრებები

- 2.1. **დაზღვეული** – პოლისში მითითებული მაქსიმუმ 65 წლამდე ასაკის პიროვნება ან პიროვნებები, რომლებიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში იმყოფებიან დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და რომელთა უბედური შემთხვევით გარდაცვალებით და ჯანმრთელობის გაუარესებით გამოწვეული დამზღვევის ფინანსური ზიანი დაზღვეულია წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად;
- 2.2. **მოსარგებლე** – დამზღვევი, რომელთანაც დაზღვეულები სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში იმყოფებიან შრომით ურთიერთობაში შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე;
- 2.3. **სადაზღვევო შემთხვევა** – დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის შედეგადაც წარმოიშება მზღვევლის ვალდებულება გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, სადაზღვევო შემთხვევად განიხილება: უბედური შემთხვევით დაზღვეულის გარდაცვალება ასევე უბედური შემთხვევით გამოწვეული მისი სრული და დროებითი სრული შრომისუნარიანობა;
- 2.4. **უბედური შემთხვევა** – თვალსაჩინო გარე ძალების ზემოქმედებით გამოწვეული გაუთვალისწინებელი და უეცარი შემთხვევა, მომხდარი დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და რომელმაც განაპირობა დაზღვეულის სხეულის დაზიანება ან გარდაცვალება;
- 2.5. **მუდმივი სრული შრომისუნარიანობა** – მხოლოდ უბედური შემთხვევით და რაიმე სხვა მიზეზისგან დამოუკიდებლად გამოწვეული სხეულის დაზიანება, რომელიც უბედური შემთხვევის დღიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში გამოიწვევს დაზღვეულის შრომისუნარიანობის სრულ მუდმივ დაკარგვას, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის მიერ დამზღვევთან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის მუდმივ სრულ შეუსრულებლობასთან;
- 2.6. **დროებითი სრული შრომისუნარიანობა** – უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეულის სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რის შედეგადაც დაზღვეულის მიერ ვერ ხორციელდება მასზე დამზღვევთან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულება;
- 2.7. **გარდაცვალება** – უბედური შემთხვევის დღიდან არაუგვიანეს 6 კალენდარული თვის განმავლობაში მომხდარი, უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის გარდაცვალება;
- 2.8. **ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი** – პოლისით გათვალისწინებულ ყველა დაზღვეულზე მზღვევლის პასუხისმგებლობის ჯამური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა;
- 2.9. **სადაზღვევო ანაზღაურება** – სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვევლის მიერ წინამდებარე

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოსარგებლისთვის გადასახდელი თანხა;

- 2.10. **მიმდინარე სადაზღვევო თანხა** – სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის, პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ნაწილი, რომელიც დარჩა წინა სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების შემდეგ;
- 2.11. **მოგდის პერიოდი** – პერიოდი სადაზღვევო შემთხვევის მომენტიდან, რომლის განმავლობაშიც არ მოხდება ანაზღაურების გაცემა.

3. დაზღვევის ძირითადი პირობები

- 3.1. **ძირითადი პირობები:**
- 3.1.1. წინამდებარე პირობების თანახმად სადაზღვევო შემთხვევად განიხილება უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის:
- დროებითი სრული შრომისუნარიანობა;
 - მუდმივი სრული შრომისუნარიანობა;
 - გარდაცვალება.
- 3.1.2. თუ უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეულის სხეულის დაზიანება გახდება დამზღვევთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის უშუალოდ დაკისრებული სამუშაოს **სრულად** შეუსრულებლობის მიზეზი, სრული დროებითი/მუდმივი შრომისუნარიანობის გამო, მზღვევლი აუნაზღაურებს მოსარგებლეს ამ შემთხვევით გამოწვეულ ზიანს, პოლისში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;
- 3.1.3. დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას დამზღვევი ვალდებულია მზღვევლს წარუდგინოს ინფორმაცია დასაზღვევი პირების შესახებ: კერძოდ, სახელი გვარი, პირადი ნომერი, დამზღვევთან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდებობა, საქმიანობის დეტალური აღწერა;
- 3.1.4. ინფორმაცია დაზღვეული პირ(ებ)ის შესახებ მითითებულია პოლისში/ხელშეკრულებაში;
- 3.1.5. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით დაზღვეულთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს სამს;
- 3.1.6. დაზღვეულ პირთა ცვლილება განხორციელდება დამზღვევის წერილობითი მოთხოვნის და მზღვევლის თანხმობის შემთხვევაში, მზღვევლთან შეთანხმებულ პირობების შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დაწყებიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში;
- 3.1.7. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა დაზღვეულ პირთა დამატება, მათი დაზღვევა ძალაშია მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;
- 3.1.8. უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა მოხდება მოსარგებლეზე.
- 3.2. **პირები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დაზღვევას:**
- 3.2.1. პირები, რომლებიც მუდმივ მოვლას საჭიროებენ ან რომლებიც ფსიქიურად არიან დაავადებულნი, არ ექვემდებარებიან დაზღვევას და არ ჩაითვლებიან დაზღვეულებად, მათ სასარგებლოდ პრემიის გადახდის პირობებშიც კი;
- 3.2.2. პირი, რომელიც მუდმივ მოვლას საჭიროებს, გულისხმობს პირს, რომელიც ყოველდღიური საქმიანობის შესრულებისთვის სხვების დახმარებას საჭიროებს;
- 3.2.3. იმ დაზღვეულების მიმართ, რომელნიც აღმოჩნდებიან წინამდებარე მუხლის 3.2.1 პუნქტით გათვალისწინებულ მდგომარეობაში ხელშეკრულების დადების შემდეგ, აღნიშნული ხელშეკრულება წყდება ასეთი გარემოებების დადგომის მომენტიდან;
- 3.3. **სადაზღვევო თანხა და სადაზღვევო ლიმიტი**

- 3.3.1. პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხა წარმოადგენს ყველა დაზღვეულზე ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალურ ლიმიტს, რომელიც შეიძლება გადახდილი იყოს ამ პოლისის მიხედვით;
- 3.3.2. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისას, მზღვევლის პასუხისმგებლობის ლიმიტი მცირდება ნებისმიერ დაზღვეულზე გადახდილი თანხების ოდენობით, პრეტენზიების მთლიანი მოცულობის გათვალისწინებით, ხოლო შემდგომი სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას, ასანაზღაურებელი თანხა გამოითვლება მიმდინარე სადაზღვევო თანხიდან;
- 3.3.3. თუ სადაზღვევო შემთხვევისას დაზარალდა პოლისში მითითებული დაზღვეულებიდან 1-ზე მეტი პირი, ანაზღაურება მოხდება თითოეულ დაზღვეულზე ცალ-ცალკე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხის/ ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტისა;
- 3.3.4. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, თუ დაზღვევის მხრიდან არ განხორციელდა პრემიის დროული და სრული გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების და შესაბამისი პოლისში მითითებული წესის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, მზღვევლი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან;
- 3.3.5. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, თუ დაზღვევმა იდენტური დაზღვევის პირობებით გააფორმა ხელშეკრულება სხვა სადაზღვევო კომპანიასთან/ კომპანიებთან და ამ დაზღვევის/დაზღვევების ძალაში შესვლის მომენტიდან 3 კვირის განმავლობაში მზღვევლმა არ მიიღო შესაბამისი წერილობითი შეტყობინება;
- 3.3.6. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულმა შეიცვალა პროფესია ან საქმიანობა და დამზღვევმა მზღვევლს არ შეატყობინა ამ ცვლილებების შესახებ;
- 3.3.7. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა თუ უბედური შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, დაზღვეული პიროვნება/ პიროვნებები აღარ არიან შრომით ურთიერთობაში დამზღვევთან;
- 3.3.8. დაზღვევა ანაზღაურებს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მომხდარ სადაზღვევო შემთხვევებს, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 4.21, 4.22, 4.23 პუნქტში მითითებული შემთხვევებისა.

4. გამონაკლისები

ეს დაზღვევა არ ფარავს:

- 4.1. უბედური შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, დაზღვეული პიროვნება აღარ იქნება დასაქმებული დამზღვევ ორგანიზაციაში;
- 4.2. უბედურ შემთხვევამდე არსებულ ფიზიკურ ნაკლებს, ანომალიებს ან დაავადებებს;
- 4.3. სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე მომხდარ უბედურ შემთხვევებს;
- 4.4. ავიაკომპანიის თანამშრომლებსა და ეკიპაჟს, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
- 4.5. გემების ეკიპაჟსა და მცვენთავეებს, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
- 4.6. კოლექტიურ საფუძველზე მდარობში მომუშავეებს;
- 4.7. ეს დაზღვევა არ ფარავს გარდაცვალებას ან შრომისუუნარობას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული ან პროვოცირებული იქნა ან შედეგად მოჰყვა:
- 4.8. ჩატარებულ ან მიმდინარე მკურნალობას ან ჩარევებს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი ჩარევა ან მკურნალობა (რადიოდიანგნოსტიკისა და რადიოთერაპიის ჩათვლით) აუცილებელია უბედური შემთხვევის შედეგად, რომელიც წინამდებარე დაზღვევით იფარება;

- 4.9. ინფექციებს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ უბედური შემთხვევის დროს, რომელიც წინამდებარე პოლისით იფარება, მომხდარი დაზიანების შედეგად დაზღვეულის ორგანიზმში ინფექცია შეიჭრა;
- 4.10. კანის ან ლორწოვანი გარსის უმნიშვნელო დაზიანებები, რომელთა შედეგადაც დაზღვეულის ორგანიზმში მაშინვე ან მოგვიანებით ინფექცია შეიჭრა, არ ჩაითვლება უბედური შემთხვევის შედეგად მიღებულ დაზიანებად, გარდა ცოფისა და ტეტანუსისა;
- 4.11. მოწამლვას, რომელიც მოყვა დაზღვეულის მიერ თხევადი ან არათხევადი ნივთიერების მიღებას;
- 4.12. აბდომინალურ ან სახარდულის თიაქარს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი დაზიანება შედეგად მოყვა ძლიერ გარე ზეგავლენას, რომელიც წინამდებარე პოლისით იფარება;
- 4.13. მალთაშორისი დისკების დაზიანებას, სისხლდენას შინაგანი ორგანოებიდან და თავის ტვინში სისხლჩაქცევას, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება თუ წინამდებარე პოლისით დაფარული უბედური შემთხვევა წარმოადგენს ზემოაღნიშნულის პირველად მიზეზს;
- 4.14. ორსულობას ან მშობიარობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობიარობა უბედური შემთხვევით იქნება დაქვეყნებული;
- 4.15. გონებრივ, ფსიქიურ ან ფსიქოსომატურ დარღვევებს (დროებით ან სხვას);
- 4.16. დაზღვეულის ყოფნას ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოქმედების ქვეშ;
- 4.17. განსაკუთრებული საფრთხის მიმართ შეგნებულ გაუფრთხილებლობას (თუ ეს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით არ ხდება);
- 4.18. დაზღვეულის თვითმკვლელობას ან ამგვარის მცდელობას, შეგნებულ თვითდაშავებას;
- 4.19. დაზღვეულის მიერ ჩადენილ დანაშაულს ან მისი ჩადენის მცდელობას;
- 4.20. ბირთვული ენერგიით (ბირთვული რეაქციები, რადიაცია, დაბინძურება), ნებისმიერ დაზიანებას ან დაავადებას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოყვა ბირთვული საწვავით ან ბირთვული საწვავის აფეთქებით გამოწვეულ იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტიულ დაბინძურებას;
- 4.21. ომს, ინტერვენციას, მტრის მოქმედებებს, საომარ მოქმედებებს (განურჩევლად იმისა, გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომს, აჯანყებას, ნაციონალიზაციას ან კონფისკაციას ნებისმიერი მთავრობის ან მისი დავალებით ან სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ, ან ნებისმიერი პირების, რომლებიც მოქმედებენ დამოუკიდებლად ან რაიმე ორგანიზაციასთან კავშირში და რომელთა საქმიანობაც მიმართულია დე ფაქტო თუ დე იურე მთავრობის გადადგომაზე ან მის ზეგავლენაზე ტერორიზმის თუ ძალადობის მეშვეობით;
- 4.22. ნებისმიერ ტერორისტულ აქტს; ტერორისტული აქტი გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური ან ეთნიკური მოტივით სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ან/და საზოგადოების ან მისი რომელიმე ნაწილის დაზიანების მიზნით გამოყენებულ ძალას ან ძალადობას და/ან მუქარას ნებისმიერი პირის ან პირების ჯგუფის მიერ, მიუხედავად იმისა მოქმედებენ ისინი მარტო, თუ რაიმე ორგანიზაციების ან ხელისუფლებების სახელით ან მათთან შეთანხმებულად;
- 4.23. აგრეთვე გამონაკლისს წარმოადგენს ნებისმიერი უბედური შემთხვევა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან რაიმე კავშირშია ნებისმიერ ქმედებასთან, რომელიც ჩადენილია ტერორისტული აქტის კონტროლის, ხელშეშლის, აცილების მიზნით ან რაიმე კავშირშია მასთან;

- 4.24. სანადლეოს, აკრობატულ ოინებს, ნებისმიერი სახის რეკორდის დამყარებას ან მის მცდელობას და მისთვის მზადებას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
- 4.25. სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაში დაინტერესებული პირის (მოსარგებლის, მემკვიდრის) მიერ, დაზღვეულის წინასწარ განზრახულ მკვლელობას ან მის მონაწილეობას მკვლელობის ორგანიზებაში;
- 4.26. დაზღვეულის ყოფნას ან მონაწილეობას:
- პოლიციის, სამხედრო ფლოტის, ჯარის ან სამხედრო საჰაერო ძალების შემადგენლობაში ან სამხედრო ოპერაციებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
 - ზამთრის სპორტის სახეობებში, პროფესიონალურ თუ სამოყვარულო სპორტში, აკვალანგიტ ყვინთვაში, კლდეზე ცოცვაში ან ალპინიზმში, სპელეოლოგიაში, დელტაპლანერიზმში, პარაშუტით ხტომაში, ნადირობაში, რაიმე სახის დოღებში ან რბოლებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
- 4.27. მზღვევლის მოთხოვნისამებრ სადაზღვევო თანხის ასანაზღაურებლად აუცილებელი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში;
- 4.28. ხელშეკრულებით ან პოლისით გათვალისწინებული დაზღვეულის/მოსარგებლის ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისას;
- 4.29. დაზღვეულის ჯანმრთელობასთან, პროფესია/საქმიანობასთან ან სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის დამალვის ან გაყალბების შემთხვევაში, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას ასევე მოქმედების პერიოდში და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგაც.

5. სადაზღვევო ანაზღაურება

- 5.1. დამზღვევი, ან სხვა დაინტერესებული პირი, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შემთხვევიდან 48 საათისა, აცნობოს კომპანიის ცხელ ხაზს, ტელ. +995322505111;
- 5.2. შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის სახელი, გვარი, პოლისის ნომერი, სადაზღვევო შემთხვევის ტიპი.
- 5.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხის გადასაწყვეტად, სრული დროებითი/მუდმივი შრომისუუნარობის დადგომიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო კვირისა, ანაზღაურებაზე პრეტენზიასთან ერთად, მზღვეველს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:
- 5.3.1. სამედიცინო ექსპერტის გადაწყვეტილება დროებითი სრული/მუდმივი შრომისუუნარობის დადგომის შესახებ;
- 5.3.2. პოლისის ორიგინალი;
- 5.3.3. ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ;
- 5.3.4. დაზღვეულის პირადობის მოწმობა (გარდა დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევისა);
- 5.3.5. ცნობა გარდაცვალების შესახებ, სამედიცინო დასკვნა გარდაცვალების შესახებ
- 5.3.6. ცნობა სამუშაო ადგილიდან ხელფასის შესახებ/ 6 თვის საბანკო ამონაწერი;
- 5.3.7. დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მზღვევლისათვის შეტყობინების დროულად გაგზავნის ფაქტს;
- 5.3.8. მოსარგებლის საბანკო რეკვიზიტები.
- 5.3.9. საჭიროების შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს სხვა საჭირო საბუთები.

- 5.4. დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზით ანაზღაურებაზე პრეტენზიის შემთხვევაში, გარდაცვლილი დაზღვეულის სხელი უნდა იყოს ამოცნობილი. დაზღვეულის გაუჩინარების/უგზო უკვლოდ დაკარგვის შემთხვევა არ განიხილება გარდაცვალებად უბედური შემთხვევის შედეგად.
- 5.5. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი თვლის, რომ საჭიროა დაზღვეულის შრომისუუნარობის ხარისხის დაზუსტება, მის მიერ მოთხოვნილ ექიმ-ექსპერტს ნება უნდა დაერთოს ჩაუტაროს დაზღვეულს სამედიცინო გამოკვლევა, ხოლო დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს გარდაცვლილის პათოლოგ-ანატომიური გამოკვლევა. ნებისმიერ შემთხვევაში დამადასტურებელ საბუთებს სამედიცინო ცნობების, ანკეტების, დეკლარაციების, ან სხვა სახით, მზღვეველის მოთხოვნისამებრ მოსარგებლე წარმოადგენს საკუთარი ხარჯებით.
- 5.6. უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის დროებითი სრული შრომისუუნარობის შემთხვევაში, ანაზღაურება გაიცემა ყოველთვიურად იმ ვადით, რა ვადაც არის საჭირო დაზღვეულის დამზღვევთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმიანობასთან მიმართებაში შრომისუუნარიანობის აღდგენამდე, მაგრამ არაუმეტეს 12 თვისა, 1 თვიანი მოცდის პერიოდის გათვალისწინებით დაზღვეულის ყოველთვიური დარიცხული ხელფასის სამმაგი ოდენობით, პოლისში მითითებულ ანაზღაურების მაქსიმალურ ლიმიტის ფარგლებში.
- 5.7. თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა სადაზღვევო პერიოდში და დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული მზღვეველის ვალდებულება სცდება პოლისში მითითებულ სადაზღვევო პერიოდს, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა გაგრძელდება დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ ამოწურვამდე.
- 5.8. უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის დამზღვევთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმიანობასთან მიმართებაში მუდმივი სრული შრომისუუნარობის და გარდაცვალების შემთხვევაში, ანაზღაურება გაიცემა დაზღვეულის ყოველთვიური დარიცხული ხელფასის სამმაგი ოდენობა გამრავლებული 12 თვეზე, პოლისში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალურ ლიმიტის ფარგლებში, რომელსაც გამოაკლდება სადაზღვევო კომპანიის მიერ უკვე ანაზღაურებული თანხის ოდენობა ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- 5.9. დაზღვეულის ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურება ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შეადგენს დამზღვევის მიერ დაზღვეულისთვის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დარიცხული ხელფასის საშუალო არითმეტიკულს.
- 5.10. დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ნებისმიერი პირობის, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან ვადების დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან ანაზღაურის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი.
- 5.11. მზღვეველს აქვს უფლება ვადის დარღვევის შემთხვევაში დამზღვევის მოტივირებული წერილის წარმოდგენის შემთხვევაში იმსჯელოს მოსარგებლის მიერ ვადის დარღვევის ფაქტზე თუ ეს დარღვევა გამოწვეული იყო მხოლოდ დაუძლეველი ძალით.
- 5.12. წერილობითი განცხადებისა და ჩამოთვლილი საბუთების წარდგენისას, მზღვეველი გასცემს ანაზღაურებას ლარში.

- 5.13. ამ ხელშეკრულების და შესაბამისი პოლისის ფარგლებში სრული ასანაზღაურებელი თანხა, არ აღემატება პოლისში მითითებული სადაზღვევო ლიმიტის 100%-ს, შემთხვევების რაოდენობის და თანხის მიუხედავად.

6. მხარეთა უფლება – მოვალეობები

6.1. მზღვევლი ვალდებულია:

- 6.1.1. დამზღვევის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული გრაფიკის შესაბამისად გადახდილი პრემიის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აუნაზღაუროს მოსარგებლეს ზარალი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- 6.1.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის დამზღვევის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ შესრულოს დაზღვევით ნაკისრი ვალდებულება დროულად და ჯეროვნად;
- 6.2. მზღვევლი უფლებამოსილია:
- 6.2.1. დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების პირობებისა და პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს და/ან შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება;
- 6.2.2. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებისა დარღვევის შემთხვევაში;
- 6.2.3. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულის მიერ (ან დაზღვეულის თანამონაწილეობით) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს; ამასთან ყოველი ასეთი პირის დაზღვევა მზღვეველის მხრიდან ექვემდებარება გაუქმებას;
- 6.2.4. არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დაზღვეულთა/დამზღვევთა მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და პროცედურები;
- 6.2.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს დამზღვევს ყოველგვარი ცნობა, რომელიც კი აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის ასევე ზიანის მოცულობის დასადგენად;
- 6.2.6. დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში წერილობით მოითხოვოს დამზღვევისაგან პირგასამტეხლოს გადახდა დავალიანებული პრემიის 0.10%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად;
- 6.3. დამზღვევი ვალდებულია:
- 6.3.1. სრულად და განუხრელად დაიცვას სადაზღვევო პროცედურები და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- 6.3.2. ხელშეკრულების დადებისას წარუდგინოს მზღვეველს ინფორმაცია დასაზღვევი პირების შესახებ: კერძოდ, სახელი გვარი, პირადი ნომერი, დამზღვევთან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდებობა, საქმიანობის დეტალური აღწერა;
- 6.3.3. წერილობით აცნობოს მზღვეველს დაზღვეულთა სიაში ცვლილების შესახებ;
- 6.3.4. ცვლილებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეულთა საქმიანობაში რაიმე ცვლილების შესახებ. ამგვარი ინფორმაციის მიღებისას მზღვეველს აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ

მოახდინოს ცვლილების განხორციელება, გაზარდოს გადასახდელი პრემიის ოდენობა რისკის მომატების მიხედვით ან გააუქმოს დაზღვევა წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

- 6.3.5. ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს შეატყობინოს ყველა ის გარემოება, რომელსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით;
- 6.3.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ შეასრულოს მზღვეველის ყველა მითითება, რაც უკავშირდება სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის ასევე ზიანის მოცულობის დადგენას;
- 6.3.7. დეტალურად გააცნოს წინამდებარე დაზღვევის პირობები დაზღვეულებს; ასევე მათი (დაზღვეულების) ვალდებულება მზღვეველს მიაწიქოს უფლება მოიძიოს და გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციას, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად (მაგ: ჩატარებული გამოკვლევების პასუხები, ამონაწერი ისტორიიდან, საპატრულო პოლიციის დასკვნა უბედური შემთხვევის დადგომისას და სხვ). წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვევლი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი;
- 6.3.8. მიაწიქოს მზღვეველს უფლება და შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში გასცეს წერილობითი თანხმობები კანონმდებლობით დადგენილი წესით, იმისათვის რომ მზღვეველმა შეუფერხებლად აწარმოოს მოკვლევა ან/და დამზღვევის/დაზღვეულის და სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტაციის მოპოვება სახელმწიფო, კერძო თუ სხვა სახის ორგანიზაციებში დაზღვევის ხელშეკრულების დადებისთვის, რისკების კონტროლისთვის, სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გადამოწმების და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით;
- 6.3.9. დაზღვეული პირის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში შეატყობინოს მზღვეველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაცია; სამსახურიდან წასული თანამშრომლისთვის პირობების შენარჩუნება მზღვეველის მიერ არ განიხილება;
- 6.3.10. გადაიხადოს პრემია მზღვეველთან შეთანხმებული წესის მიხედვით ყველა დაზღვეულზე სრულად. პოლისის გრაფიკით განსაზღვრული პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან;
- 6.3.11. გადასცეს მზღვეველს დაზღვეულის - სამსახურში მიღების შესახებ ბრძანება ან/და ხელფასის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 6.3.12. ხელი შეუწყოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას;
- 6.3.13. თუ დამზღვევის მიერ მოწოდებულ სიაში აღმოჩნდებიან პირები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად დაზღვევას არ ექვემდებარებიან, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ დამზღვევმა რაიმე სახით მოახდინა გარეშე პირების დაზღვევის მიზნით ვითომდა მათი სამსახურში აყვანა და/ან დროულად არ მოხდა სამსახურიდან განთავისუფლებული პირებზე მზღვეველისთვის ინფორმაციის მოწოდება, გადაუხადოს მზღვეველს ჯარიმის სახით 5'000 (ხუთი ათასი) ლარი ყოველ ასეთ გამოვლენილ პირზე; ასეთ პირებზე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს; ამასთან ყოველი

ასეთი პირის დაზღვევა მზღვეველის მხრიდან ექვემდებარება გაუქმებას;

6.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

- 6.4.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს მზღვეველისაგან ზარალის ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

- 7.1. დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მზღვეველს ხელშეკრულების მოშლის შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე.
- 7.2. დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის ან დამზღვევის მიერ პრემიის გადაუხდელობის გამო მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას დამზღვევი ვალდებულია დამატებით გადაიხადოს დაზღვევის შეწყვეტის მომენტისთვის გამომუშავებული პრემიის 70%;
- 7.3. მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, რომლის დროსაც ვალდებულია წერილობით შეატყობინოს დამზღვევს ხელშეკრულების მოშლის შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე.

8. ფორს-მაჟორი

- 8.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შესრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაუღალავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
- 8.2. გადაუღალავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ): გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო; ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ სამსიოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
- 8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფორს-მაჟორულ მოვლენასთან გათანაბრებულია მესამე პირთა ბრალეული და/ან არაბრალეული ქმედებანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, ენერგეტიკული კრიზისი და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სხვა გარემოებები.
- 8.4. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
- 8.5. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
- 8.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

/დამზღვევი/

- 8.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა დამკვეთის პირველადი რეგისტრაციის დროს.

9. დამატებითი პირობები

- 9.1. მხარეები აცხადებენ რომ მათ გააცნიათ ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა წინამდებარე ხელშეკრულების დასადებად და მასში განსაზღვრული ვალდებულებების ასაღებად.
- 9.2. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მიმართ.
- 9.3. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.
- 9.4. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება წერილობით, ორივე მხარის ხელმოწერით და ძალაშია ხელმოწერის შემდგომ.
- 9.5. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 9.6. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ ნებისმიერი სხვა სიტყვიერი ან წერილობითი შეთანხმება ხელშეკრულებით მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით ბათილია.
- 9.7. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით.
- 9.8. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევებში.
- 9.9. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს ოგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, მხარეებმა მისამართის შეცვლის შესახებ უნდა აცნობონ ერთმანეთს არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.
- 9.10. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.